ფონდი „სოხუმი“ FUND "SUKHUMI"

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით

თვითმმართველობების თანადგომა ერთად ვმოქმედებთ

(ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგი)

სარჩევი

მოკლე შინაარსი და რეკომენდაციები 3

თავი I.
შესავალი ნაწილი 11

1.1. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემის აქტუალობა და არსი 12

1.2. ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი და მეთოდოლოგია 14

თავი II.
ფონდი „სოხუმის“ გამოცდილება ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკის დანერგვაში 17

2.1. გენდერული თანასწორობის საბჭოების დანერგვა 18

2.2. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობასთან თანამშრომლობა 20

თავი III.
გენდერული ძალადობის პრევენციის და რეაგირების საქმეში მუნიციპალიტეტების ჩართულობის სამართლებრივი ასპექტები 27

თავი IV.
მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი მიღწევები და დადებითი ტენდენციები 37

თავი V.
მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი გამოწვევები 45

თავი VI.
მუნიციპალიტეტის ორგანოთა ურთიერთთანამშრომლობა, კოორდინაცია ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეფერირების მექანიზმის სუბიექტებთან 57

თავი VII.
დასკვნა 65

დაიბეჭდა გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაცია

Brot für die Welt

მხარდაჭერით

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

მოკლე შინაარსი და რეკომენდაციები

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა საქართველოში. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ეროვნული კვლევის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში ოჯახში ძალადობას შვიდიდან ერთი ქალი განიცდის. სამწუხაროდ, ბევრი შემთხვევა გაუმჟღავნებელი რჩება. მართალია, ბოლო წლებში საზოგადოების ცნობიერების დონე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში შესამჩნევად ამაღლდა, თუმცა მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი რჩება, განსაკუთრებით - რეგიონებში. 2017 წლის მონაცემებით, ძალადობის შემთხვევები 100 ათას მოსახლეზე რეგიონებში, განსაკუთრებით, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, თბილისზე მაღალია.[1] შესაბამისად, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისთვის მნიშვნელოვანია **მუნიციპალიტეტის ორგანოების აქტიური ჩართულობა** განსაკუთრებით რეგიონებში, ადგილობრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და ძალადობის მსხვერპლთათვის მათ საჭიროებაზე მორგებული სერვისების მიწოდების საქმეში.

ფონდი „სოხუმის“ საქმიანობის პრიორიტეტი გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებრივი გაძლიერებაა. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს **ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების მიმართულებით** და ამ მიზნით მჭიდროდ და ნაყოფიერად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან. ორგანიზაცია იყო ერთ-ერთი პიონერი **ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის მექანიზმის შექმნის საქმეში.** 2013-2016 წლების განმავლობაში ფონდმა „სოხუმმა“ პილოტური პროექტის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოს 4 ქალაქში (ქუთაისი, სენაკი, ოზურგეთი და ბათუმი) პირველად დანერგა **გენდერული საკონსულტაციო საბჭოები და დღემდე აქტიურად უჭერს მხარს მათ გაძლიერებას.** ორგანიზაცია მუშაობს მუნიციპალიტეტებთან შემდეგი მიმართულებებით:

- სამიზნე მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება და არსებული გენდერული თანასწორობის მექანიზმის მუშაობის ეფექტიანობის ზრდა;
- გენდერული თანასწორობის საკითხებში მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება სისტემატური საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების ჩატარების გზით;
- მუნიციპალიტეტებისთვის ექსპერტული მხარდაჭერისა და საკონსულტაციო სერვისების შეთავაზება, კვლევების, სტრატეგიული დოკუმენტების მომზადების, მოსახლეობის გენდერული საჭიროებების ანალიზის გზით;
- ერთობლივი პროექტების შემუშავება და განხორციელება;

[1] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში - ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, გვ. 46
https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxshi_dzaladobis_dacvis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf

- ადგილობრივ დონეზე კოორდინაციის მექანიზმის დანერგვა და გაძლიერება, ეროვნული რეფერალური მექანიზმის ყველა სუბიექტის ერთობლივი შეხვედრების ორგანიზების და ჩართული უწყებების თანამშრომელთა შორის ინფორმაციის გაცვლის გზით;
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის მუნიციპალური პროგრამებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კუთხით, მუნიციპალური ერთეულების მიერ საკანონმდებლო სიახლეების დანერგვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელთა მიერ ახალი რეალობის აღქმის შესაფასებლად, ფონდმა „სოხუმმა“ 2019 წლის ივნის-აგვისტოში ჩაატარა მცირე მასშტაბის მონიტორინგი სამიზნე მუნიციპალიტეტებში. შედეგად, გამოიკვეთა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაში არსებული წარმატებები, მათ შორის: მუნიციპალიტეტებში ოჯახში ძალადობის პრობლემის მეტ-ნაკლებად გაცნობიერება; გენდერულად სენსიტიური თანამშრომლების რაოდენობის მატება, რაც, შესაბამისად, აისახება მსხვერპლისადმი მხარდაჭერის სერვისების დანერგვაში. დღეისათვის არაერთ მუნიციპალიტეტში არსებობს **ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამები,** მაგალითად: გარკვეული პერიოდის განმავლობაში მსხვერპლის სტატუსის მქონე ქალის ბინის ქირით უზრუნველყოფის ან ერთჯერადი დახმარების გაცემის პრაქტიკა და ა.შ.

ამავდროულად, მონიტორინგმა ნათლად წარმოაჩინა არაერთი ნაკლოვანება, რაც საგრძნობლად ამუხრუჭებს პროგრესის ტემპს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ დროულად უპასუხოს შემდეგ გამოწვევებს:

- **ცენტრალიზაციის მაღალი დონე** - სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ცენტრალიზებული მართვა; ძალაუფლებისა და რესურსების თავმოყრა ცენტრში; თვითმმართველი ერთეულების მეტისმეტი დამოკიდებულება ცენტრალურ ხელისუფლებაზე;

რეკომენდებულია: დეცენტრალიზაციის ტენდენციის გაღრმავება, ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება; მისთვის ადგილობრივი ქონების გადაცემა; ფისკალური დეცენტრალიზაცია;

- **თვითმმართველი ერთეულების სისუსტე, პასიურობა** - ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებში ასერტიულობის ნაკლებობა და მთავრობისგან წამოსული მითითებების მოლოდინი, რაც შეუძლებელს ხდის იმ პრობლემათა გადაწყვეტასაც კი, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებას დამოუკიდებლად ხელეწიფება;

რეკომენდებულია: პასუხისმგებლობის მქონე და ინიციატივიანი ადგილობრივი მოხელეების წახალისება; საკითხების გადაწყვეტა საკუთარი პასუხისმგებლობით, ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად (შესაძლებელია, საწყის ეტაპზე არასამთავრობო სექტორის დახმარების გამოყენება, ამისათვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შესაძენად);

- **ეროვნულ დონეზე თვითმმართველობაში გენდერული კუთხით არსებული გამოწვევების ადვოკატირების ნაკლებობა** - შეზღუდულია, ან არ არსებობს კომუნიკაცია ეროვნულ დონეზე მოქმედ მექანიზმებთან, რომლებიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და მსხვერპლთა დასახმარებლად მუშაობენ (მაგ.: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო); თვითმმართველობის ორგანოებს ვერ მიაქვთ ცენტრალურ ხელისუფლებამდე ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები და არსებული გამოწვევები ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კუთხით; ამავე დროს, ცენტრალური სტრუქტურებიდანაც არასაკმარისია თვითმმართველობებთან თანამშრომლობის ხარისხი;

რეკომენდებულია: მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა აქტიური ადვოკატირება გაუწიონ ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტას ყველა საშუალებით, იმ ფორმატების გამოყენებით, რაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომუნიკაციისთვის არსებობს, მათ შორის, სახელმწიფო რწმუნებულის, რეგიონული განვითარების სამინისტროს, ეროვნულ დონეზე მოქმედი გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების მეშვეობით;

- **რეფერირების სუბიექტებთან არასაკმარისი თანამშრომლობა** - ადგილობრივ დონეზე მოქმედ რეფერირების სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლის, კოორდინაციის მექანიზმის არარსებობა, რის გამოც მათ არ იციან სხვადასხვა ორგანოში მსხვერპლისთვის განკუთვნილი სერვისების, ერთმანეთის მიღწევების, პრობლემების, პრაქტიკის შესახებ, მაგალითად, თვითმმართველობის ორგანოები ვერ ავრცელებენ ინფორმაციას პოლიციასთან, სოციალურ სამსახურთან, რათა ამ უკანასკნელებმა მაინც უთხრან არაინფორმირებულ მსხვერპლს მუნიციპალური დახმარების პროგრამების შესახებ, მეორე მხრივ კი, სუსტი თანამშრომლობის და კოორდინაციის გამო, ხშირად თავადაც არ ფლობენ ინფორმაციას სხვა რეფერალურ სუბიექტებთან არსებულ სერვისებზე;

რეკომენდებულია: ადგილობრივ დონეზე რეფერირების სუბიექტებს შორის კოორდინაციის მექანიზმის დანერგვა და მის ფარგლებში ინფორმაციის გაცვლა ერთმანეთის საქმიანობის, მიღწევების, დაბრკოლებების, სერვისების შესახებ; დადგენილი სიხშირით შეხვედრების ორგანიზება და ა.შ.;

- **არასაკმარისი გამჭვირვალობა და გახსნილობა** - ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების, აქტიური მოქალაქეების თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართვის წახალისების ნაკლებობა;

რეკომენდებულია: ადგილობრივ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიის გადახედვა და გაუმჯობესება, სხდომებისა და მუშაობის პროცესში აქტიური ადამიანების მოწვევა, მათი აზრის გათვალისწინება;

- **თვითმმართველი ერთეულების გაერთიანებული ძალისხმევის ნაკლებობა** - მუნიციპალიტეტშორისი თანამშრომლობის და ერთობლივი ინიციატივების, პროგრამების ნაკლებობა ან არარსებობა; ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო მექანიზმების გამოუყენებლობა;

რეკომენდებულია: მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის ფორმატის შეთანხმება და ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება (Inter-Municipal cooperation); რესურსების კონსოლიდაცია საერთო გამოწვევების წინააღმდეგ, რაც საშუალებას იძლევა, გაერთიანებული ძალისხმევით დაუპირისპირდნენ პრობლემას;

- **მუნიციპალიტეტის ტერიტორიის არასრულად მოცვა** - თვითმმართველ ერთეულში შემავალი გეოგრაფიული არეალის არათანაბრად დაფარვა, განსაკუთრებით ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებული სოფლების, მაღალმთიანი დასახლებების მიმართ ყურადღების ნაკლებობა; მერის წარმომადგენელთა მუშაობის ნაკლებეფექტიანობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ; სოფლად მცხოვრები ქალების, არასრულწლოვანი გოგონების სპეციფიკური საჭიროებების გაუთვალისწინებლობა;

რეკომენდებულია: პერიფერიული დასახლებების, შორეული სოფლების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა; ასევე თვითმმართველობის მუშაობის ყველა ეტაპზე (პრიორიტეტების განსაზღვრა, დაგეგმვა, ბიუჯეტირება, შესრულება) ქალების საჭიროებების გათვალისწინება; მერის წარმომადგენელთა გააქტიურება, რათა ხელი შეეწყოს თვითმმართველობის ორგანოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებას, მათ შორის ინფორმაციის გაცვლას;

- **კაბინეტური მართვის სტილი - მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრების სიმწირე და ამ უკანასკნელთა საჭიროებების კვლევების და გენდერული ანალიზის არარსებობა** - ადგილობრივ მცხოვრებლებთან უშუალო კავშირის ნაკლებობა; მათი საჭიროებების, განსაკუთრებით, სპეციფიკური გენდერული საჭიროებების შესახებ ინფორმაციის არქონა, მაშინ, როცა თვითმმართველობის არსი სწორედ მოსახლეობასთან ახლოს მყოფი მმართველობის იდეაშია;

რეკომენდებულია: უფრო აქტიური და უშუალო კომუნიკაცია მოსახლეობასთან; შეხვედრების, სოფლებში გასვლის რაოდენობის გაზრდა; ადგილობრივ მცხოვრებთათვის ღია კარის დღეების მოწყობა; მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და

შედეგების გენდერულ ჭრილში გაანალიზება; ამ აქტივობების გეგმის შედგენა და შესრულების კონტროლი;

- **ფორმალიზმი საქმიანობაში, ცვლილებების/სიახლეებისთვის საჭირო ენთუზიაზმისა და გამბედაობის ნაკლებობა -** დახმარების პროგრამებში გათვალისწინებული პირობების მოურგებლობა მსხვერპლის საჭიროებებზე; კრიტერიუმები მოუქნელია, ხშირად არ შეესაბამება სხვადასხვა ტიპის მსხვერპლის ინტერესებს და იქცევა ბიუროკრატიულ დაბრკოლებად დახმარების მიღების გზაზე;

რეკომენდებულია: მოსახლეობაზე ორიენტირებული მართვის სტილის დანერგვა; მნიშვნელოვანია იმის გათავისება, რომ ადამიანი კი არ უნდა მოერგოს კრიტერიუმს, არამედ კრიტერიუმი უნდა გაიწეროს ადამიანისთვის; ადგილობრივი მცხოვრების მიერ შეცდომით მიმართვის შემთხვევაში, უარით გასტუმრების ნაცვლად, დახმარების გაწევა მოთხოვნის სწორად ჩამოყალიბებაში, მისთვის ინფორმაციის მიწოდება და გადამისამართება შესაბამის უწყებასთან; მეტი სითამამისა და ინიციატივის გამოჩენა;

- **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის შეუთანხმებლობა -** ზოგჯერ საკრებულო და მერია არა შეთანხმებულად, არამედ ერთმანეთის წინააღმდეგ და ჯიბრით მუშაობენ, რაც აბრკოლებს პრობლემის გადაწყვეტის პროცესს;

რეკომენდებულია: მუნიციპალიტეტის ორგანოების შეთანხმებული მუშაობის ხელშეწყობა, ერთმანეთის პრიორიტეტებისა და იდეების პატივისცემა და გათვალისწინება, პოლიტიკურ თუ პირად ინტერესებზე მაღლა დადგომა;

- **ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის საბჭოების სისუსტე** - საბჭოს ფორმალურ, ბიუროკრატულ ინსტიტუტად ქცევის საფრთხე; შედეგზე ორიენტირებული, აქტუალური და საჭირო ქმედებების ნაკლებობა ან არარსებობა; ადგილობრივი თანამდებობის პირების მიერ შესრულებული სამუშაოს გენდერული შეფასების პრაქტიკის არარსებობა;

რეკომენდებულია: გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის გამოცოცხლება, მეტი სამოქალაქო აქტივისტის, ადგილობრივი ლიდერის ჩართვა, შეხვედრების ინტენსივობის გაზრდა; სასურველია საბჭოს საქმიანობის ანგარიშის გასაჯაროება; ასევე საბჭოს მიერ თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის შეფასების ანგარიშისა და რეკომენდაციების შემუშავება/გამოქვეყნება;

- **გენდერული თანასწორობის საკითხებზე პოლიტიკის დოკუმენტების არარსებობა/ზედაპირულობა** - საპროგრამო და სტრატეგიული დოკუმენტების, პრაქტიკაში აღსრულებადი და ბიუჯეტით უზრუნველყოფილი გენდერული სამოქმედო გეგმების არარსებობა ან ფორმალურობა;

რეკომენდებულია: ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება; სასურველია არასამთავრობო სექტორის გამოცდილების და კომპეტენციის გამოყენება, მათი ჩართვა ამ პროცესში მეტი ექსპერტიზისთვის;

- **მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა არასაკმარისი ინფორმირებულობა და კვალიფიკაცია გენდერული თანასწორობის საკითხებში** - გენდერული ცნობიერების ნაკლებობა, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითმმართველობის როლისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის არქონა ან სიმწირე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვითმმართველობის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის საკითხი გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის, გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებში.

რეკომენდებულია: მეტი ტრენინგის ორგანიზება მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამშრომლებისთვის; აქტიური თანამშრომლის წახალისება და მხარდაჭერა; კვალიფიციურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, „აუთსორსინგი“ ტრენინგების, კონსულტაციების, საჭიროებათა კვლევების ჩასატარებლად; ცენტრალური ხელისუფლების, კერძოდ, კი, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ადგილობრივ დონეზე არსებული გენდერული საბჭოების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა, მეთოდოლოგიური მხარდაჭერა და თანამშრომლობის გააქტიურება;

- **გენდერულად არამგრძნობიარე ადგილობრივი ბიუჯეტი** - მწირი ფინანსური სახსრები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად და მსხვერპლის დასახმარებლად, რაც ხშირად გამოწვეულია არა მხოლოდ შეზღუდული რესურსებით, არამედ პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა გენდერული სენსიტიურობის ნაკლებობით, პრობლემის მნიშვნელობისა და მასშტაბის გაუცნობიერებლობით;

რეკომენდებულია: გენდერული ბიუჯეტირების შესახებ ცოდნის გავრცელება და ადგილობრივ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება; ადგილობრივი ბიუჯეტის მეტი წილის გათვალისწინება ქალთა საჭიროებისათვის;

- **ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის არსებული მუნიციპალური პროგრამების, მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციის მოსახლეობისთვის მოწოდების პრობლემა** - ინფორმაციის გავრცელების ძირითად საშუალებად ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელი ინტერნეტის გამოყენება; საინფორმაციო შეხვედრების სიმწირე; არაინფორმირებულობის გამო ადამიანები სასიცოცხლოდ აუცილებელი დახმარების გარეშე რჩებიან;

რეკომენდებულია: ინფორმაციის გავრცელების ეფექტიანი გზების გამონახვა; ინტერნეტის ხელმიუწვდომლობის პირობებში მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს არაელექტრონულ კომუნიკაციაზე, ადამიანურ, საზოგადოებრივ კავშირებზე, ორგანიზაციულ ქსელებსა და თემებზე; უფრო ეფექტიანი იქნება ინფორმაციის გავრცე-

ლება: სკოლების, ბაღების, თვითმმართველობის თანამშრომლების, მერის წარმომადგენლების, აქტიური ადამიანების, ადგილობრივი მედიის საშუალებით;

- **მსხვერპლის მხარდაჭერის განგრძობადი პროგრამების სიმწირე** - დახმარება და სერვისები ერთჯერადი ან/და მოკლევადიანია; მსხვერპლს დახმარება და მხარდაჭერა ესაჭიროება არა მხოლოდ მოძალადისგან თავის დასაღწევად, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში - დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების ასათვისებლად, ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად და შესაბამისი პროფესიული უნარების შესაძენად. თითქმის არ არსებობს ადგილზე ფსიქოლოგიური და სოციალური მუშაკების დახმარების მიღების საშუალება;

რეკომენდებულია: გრძელვადიანი დახმარების სერვისებისთვის მეტი რესურსის გამოყოფა; ასევე რესურსების მოძიებაზე ზრუნვა, მათ შორის, საგრანტო პროექტების მომზადება და ამ გზით სახსრების მოზიდვა, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით; შესაძლებელია, თუნდაც ერთი ფსიქოლოგის მუშაობის ფინანსური უზრუნველყოფა, რასაც, სურვილის შემთხვევაში, თავისუფლად გასწვდება ადგილობრივი ბიუჯეტი; აგრეთვე მნიშვნელოვანია ქალების მომზადება, კონსულტაციის გაწევა სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ჩასართავად; ამ მხრივ ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია ქმედითი როლის შესრულება მსურველთა ინფორმირების და ბიზნეს პროგრამების შემუშავებაში დახმარების თვალსაზრისით.

თავი I.

შესავალი ნაწილი

1.1. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემის აქტუალობა და არსი

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური და მწვავე პრობლემაა საქართველოში. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ახალი ეროვნული კვლევის მიხედვით, რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა, ჩვენს ქვეყანაში ოჯახში ძალადობას შვიდიდან ერთი ქალი განიცდის, ხოლო, თუ ძალადობის ყველა ფორმას გავაერთიანებთ, **საქართველოში ცხოვრების განმავლობაში გენდერული ნიშნით ძალადობა ოთხიდან ერთ ქალს განუცდია.**[2] სამწუხაროდ, ბევრი შემთხვევა გაუმჟღავნებელი რჩება.

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის ძალზე რთულია, დაძლიოს შიში, სირცხვილი, მოძალადის წინააღმდეგობა, სხვა შესაძლო დაბრკოლებები (მათ შორის, ეკონომიკური, გეოგრაფიული), გაუმკლავდეს საზოგადოებაში ღრმად გამჯდარ სტერეოტიპებს და გაამჟღავნოს ძალადობის ფაქტი. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფოსგან მიიღოს მხარდაჭერა, გულისხმიერება და ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის მცოდნე, კვალიფიციური სპეციალისტების მიერ გაწეული დახმარება, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

ეროვნული კვლევის მიხედვით[3], ბოლო წლებში საზოგადოების ცნობიერების დონე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ შესამჩნევად ამაღლდა, თუმცა მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით - რეგიონებში. 2017 წლის მონაცემებით, ძალადობის შემთხვევები 100 ათას მოსახლეზე რეგიონებში, განსაკუთრებით აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში – თბილისზე მა-

[2] „ახალი ეროვნული კვლევის მიხედვით, საქართველოში შვიდიდან ერთი ქალი ოჯახში ძალადობას განიცდის“
http://www.ungeorgia.ge/geo/პრესსამსახური/ახალი_ამბები?info_id=571#.Xbq7yklR271

[3] UNWomen, Geostat, National Study on Violence against Women, 2009, UNWomen, Geostat, National Study on Violence against Women, 2017

ღალია.[4] შესაბამისად, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ორგანოების აქტიური ჩართულობა ადგილობრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და ძალადობის მსხვერპლთათვის მათ საჭიროებაზე მორგებული სერვისების მიწოდების საქმეში.

სახელმწიფო აუდიტის ცნობით, თავშესაფრით და კრიზისული ცენტრით მოსარგებლე 21 ბენეფიციარის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში მოხვედრამდე ბენეფიციართა მხოლოდ 10% ფლობდა ინფორმაციას ოჯახში ძალადობისგან დაცვის საშუალებების შესახებ, ხოლო ბენეფიციართა 52% საერთოდ არ იყო ინფორმირებული ამის თაობაზე. 38% იყო ნაკლებად ინფორმირებული ვიდეორგოლების და სხვა საშუალებების (არასამთავრობო ორგანიზაცია, მეგობარი, სამსახური და ა.შ.) მეშვეობით. თავშესაფრის ბენეფიციართა განცხადებით, დაცვის მექანიზმებზე ინფორმირებულობის შემთხვევაში, გაცილებით ადრე გადადგამდნენ ნაბიჯებს ძალადობრივი ურთიერთობის დასრულების მიზნით. შესაბამისად, ინფორმაციის ნაკლებობამ შესაძლოა ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ ოცი ბენეფიციარიდან თორმეტს სამ წელზე მეტი დრო დასჭირდა შესაბამისი ზომების მისაღებად.[5]

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის ფარგლებში, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობის გეგმით გათვალისწინებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების რაოდენობა ცალსახად არასაკმარისია და ვერ პასუხობს საზოგადოებაში არსებულ მცდარ შეხედულებებს[6]. თვითმმართველობის როლი და ძალისხმევა საზოგადოების, მათ შორის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის ინფორმირების მიმართულებით აშკარად არასაკმარისია.

მუნიციპალიტეტების როლი ასევე მნიშვნელოვანია მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლისთვის მხარდაჭერის პროგრამების და შესაბამისი სერვისების შექმნისა და განხორციელების თვალსაზრისით. არსებული პრაქტიკით, ადგილობრივი თვითმმართველობა ეხმარება მსხვერპლს ფინანსურად - ბინის ქირის გადახდით გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ასევე არსებობს ერთჯერადი დახმარების პრაქტიკაც. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტები გამოწვევის წინაშე არიან, ერ-

---

[4] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში - ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, გვ. 46
https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxshi_dzaladobis_dacvis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf

5 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში - ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და პრევენციის მექანიზმები, გვ. 42-43
https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxshi_dzaladobis_dacvis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf

6 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესახებ, 2017, გვ. 5

თი მხრივ, არსებული პროგრამები არასაკმარისია, მეორე მხრივ კი ჭირს მათ შესახებ ინფორმაციის მოსახლეობამდე მიტანა. შესაბამისად, აუცილებელია, გაიზარდოს თვითმმართველობის როლი მსხვერპლის საჭიროებაზე მორგებული სერვისების შექმნის, შეთავაზების და არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მხრივაც.

ძალადობის წინააღმდეგ გამართული ყოველდღიური ბრძოლის ფონზე, საინტერესოა, როგორ ასრულებს თავის როლს ადგილობრივი თვითმმართველობა ამ პროცესში, რა მიღწევები აქვს, რა დაბრკოლებებია მის წინაშე და როგორ უმკლავდება მათ.

1.2. ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი და მეთოდოლოგია

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კუთხით, თვითმმართველი ერთეულების მიერ საკანონმდებლო სიახლეების დანერგვისა და იქ დასაქმებულ პირთა მიერ ახალი რეალობის აღქმის შესაფასებლად, ფონდმა „სოხუმმა“, გერმანული საერთაშორისო ორგანიზაცია „Brot für die Welt“-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, 2019 წლის ივნის-აგვისტოში ჩაატარა მცირე მასშტაბის მონიტორინგი ადგილობრივ თვითმმართველობებში.

მონიტორინგის განხორციელებისას გამოყენებულია თვისებრივი და სამაგიდე კვლევის მეთოდები. თვისებრივი კვლევა ჩატარდა ფოკუს-ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით ფონდი „სოხუმის“ მიერ სამიზნე რეგიონების მასშტაბით - ქუთაისის, წყალტუბოს, ბაღდათის, თერჯოლის, ხონის, ვანის, სამტრედიის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ლანჩხუთის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან.

სულ ჩატარდა 8 ფოკუს-ჯგუფის დისკუსია, 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ. რესპონდენტთა საერთო რაოდენობა - 71 (გენდერულად შერეული ჯგუფი).

რესპონდენტები წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოთა თანამშრომლებს, რომელთაც ევალებათ მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, მათ შორის: გენდერული საბჭოს წევრები, საკრებულოს თავმჯდომარე, მერის მოადგილე, საკრებულოსა და მერიის სხვადასხვა თანამდებობის პირები და საჯარო მოხელეები (საფინანსო, საბიუჯეტო, იურიდიული, სოციალურ-კულტურული, ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავენი), მერის რწმუნებულები, გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირები, ასევე ა(ა)იპი ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი, ისე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები, ასევე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები, ანგარიშები და პოლიტიკის დოკუმენტები.

გენდერული
საკონსულტაციო
საბჭოების
ქსელი
www.gac.tsokhumi.ge

გამოწვევა
და
პერსპექტივები
ადგილობრივი
ბიუჯეტის
მონიტორინგის
და გენდერული
ანალიზის
გზამკვლევი
GENDER
MAINSTREAMING
IN LOCAL
SELF-GOVERNMENT
ოჯახში ძალადობის
პრევენციისთვის

თავი II.

ფონდი „სოხუმის“ გამოცდილება აღგილობრივ თვითმართველობებში გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკის დანერგვაში

ფონდი „სოხუმის“ საქმიანობის პრიორიტეტი გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებრივი გაძლიერებაა. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების კუთხით. ფონდის სამოქმედო არეალს დასავლეთ საქართველო წარმოადგენს. თავისი მისიის შესაბამისად, მიზნების მისაღწევად ფონდი „სოხუმი“ მჭიდროდ და ნაყოფიერად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მრავალი მიმართულებით, მათ შორის: სამიზნე მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, მათი თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებში, თვითმმართველობების ექსპერტული მხარდაჭერა და საკონსულტაციო სერვისების შეთავაზება, ერთობლივი პროექტების განხორციელება, თვითმმართველობებისთვის კვლევებისა და სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება და მათთვის სერვისების მიწოდება, ადგილობრივ დონეზე კოორდინაციის მექანიზმის დანერგვის, გაძლიერების და რეფერირების გაუმჯობესების მხარდაჭერა.

2.1. გენდერული თანასწორობის საბჭოების დანერგვა

კულტურულ-ჰუმანიტარულმა ფონდმა „სოხუმმა“ სერიოზული სამუშაო შეასრულა **ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული მექანიზმის შექმნის** კუთხით, კერძოდ კი, გენდერული თანასწორობის საბჭოს დანერგვისა და გაძლიერების მიმართულებით. ორგანიზაცია იყო ერთ-ერთი პიონერი ამ მიმართულებით.

გენდერული თანასწორობის საბჭოების პროექტი,[7] რომელსაც ფონდი „სოხუმი“ 2013 – 2016 წლებში[8] 4 საპილოტე რეგიონში (ქუთაისი, სენაკი, ოზურგეთი, ბათუმი) ახორციელებდა, იმ დროისთვის საკმაოდ ინოვაციურ და ამბიციურ იდეას წარმოადგენდა. საპილოტე მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან გენდერული საკონსულტაციო საბჭოების სახით ადგილობრივ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის ინსტიტუციური მექანიზმის შექმნამ შესაძლებელი გახადა ადგილებზე გენდერული პრობლემატიკის წინ წამოწევა და დღის წესრიგში მოქცევა. შედეგად, ადგილობრივი პოლიტიკა გახდა გენდერულად მეტად მგრძნობიარე, ვიდრე საბჭოს არსებობამდე იყო.[9]

---

7 გენდერული საბჭოების პროექტის შესახებ დეტალურად იხ.:
http://gac.at.ua/index/0-2

8 პროექტი ხორციელდებოდა 2013 წლის პირველი ოქტომბრიდან 2015 წლის 30 სექტემბრამდე.
იხ.: გენდერული საბჭოები - ახალი ინსტიტუციური მოდელი გენდერული ცვლილებებისთვის რეგიონებში
http://gac.at.ua/index/0-2

9 გამოცდილება და პერსპექტივები - გენდერული საკონსულტაციო საბჭოები
http://gac.fsokhumi.ge/index.php/ka/ge/34-2015-03-31-16-53-26/928-2016-10-14-15-16-39

საბჭოების შემადგენლობაში გათვალისწინებულ იქნა ფართო წარმომადგენლობა საზოგადოების სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებიდან (მათ შორის: ადგილობრივი საკრებულოს წევრები და სამოქალაქო აქტივისტი ქალები და მამაკაცები, დევნილი და ადგილობრივი მოქალაქეები, ეთნიკური უმცირესობების, მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები), რათა გარანტირებული ყოფილიყო ორგანოს ქმედითობა, აქტიურობა და ინტერესთა ბალანსი.

ფონდი „სოხუმია“ და „გენდერული საკონსულტაციო საბჭოების“[10] მიერ ყოველწლიურად ტარდებოდა **ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკის და ბიუჯეტების გენდერული ანალიზი,** მუშავდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში გენდერული კომპონენტების გასათვალისწინებლად კონკრეტული რეკომენდაციები და მათ შესასრულებლად ტარდებოდა ადვოკატირების კამპანიები. საბჭოების მიერ შესწავლილ იქნა კონკრეტულ სამიზნე რეგიონში **მოსახლეობის გენდერული საჭიროებები,** რის საფუძველზეც შემუშავდა და ადგილობრივი საკრებულოების თანადაფინანსებით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი[11]. ასევე ორგანიზაციას მომზადებული აქვს ქუთაისში, ოზურგეთში, სენაკსა და ბათუმში ადგილობრივი მოსახლეობის გენდერული საჭიროებების შეფასება.[12]

რეგულარული შეხვედრების, საინფორმაციო კამპანიის (ჟურნალი, ვებ-გვერდი, ფეისბუქგვერდები, სატელევიზიო და რადიოგადაცემები) თუ მრგვალი მაგიდების საშუალებით პროექტმა ხელი შეუწყო ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა წარმომადგენლობის და მისი როლის გაზრდის საჭიროებაზე.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. ფონდი „სოხუმის“ მიერ შექმნილი გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელი აქტიურ ადვოკატირებას უწევდა ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის მექანიზმის ინსტიტუციონალიზაციას და შესაბამისი ცვლილებების შეტანას გენდერული თანასწორობის ეროვნულ სამოქმედო გეგმასა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში.

აღსანიშნავია, რომ პარალელურად, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ძალისხმევით საფუძველი ჩაეყარა გენდერულ საკითხებში მრჩევლის ინსტიტუტის დანერგვას ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელ რგოლში, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს 49 მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებში მრჩევლების დანიშვნას. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ადვოკატირების შედეგად, რომელიც საკანონმდებლო შესწორებების გზით ორივე მექანიზმის ინსტიტუციონალიზაციას ისახავდა მიზნად, მოხერხდა

10 პროექტის პილოტირებისას აღნიშნულ მექანიზმს „გენდერული საკონსულტაციო საბჭო“ ეწოდა.

11 კვლევა „ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის სამოქალაქო ჯგუფების გენდერული საჭიროებების ადგილობრივ ბიუჯეტში ინტეგრირებისათვის“
http://fsokhumi.ge/images/2016/28.01-28.02/Publik/Down/GE.PDF

12 ადგილობრივი გენდერული ჯგუფების საჭიროებების შეფასება
http://fsokhumi.ge/index.php/ka/newska/kvleva/3123-ადგილობრივი-გენდერული-ჯგუფების-საჭიროებების-შეფასება

ქალაქის საკრებულოებში გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გენდერულ საკითხებში მერების მრჩევლის თანამდებობების ინსტიტუციონალიზაცია, რაც 2017 წელს ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრა.

ფონდი „სოხუმი“ კვლავ აგრძელებს დასავლეთ საქართველოს ცალკეულ ადგილობრივ თვითმმართველობებთან აქტიურ თანამშრომლობას გენდერული თანასწორობის საბჭოების შემდგომი გაძლიერებისათვის, გენდერულად მგრძნობიარე ადგილობრივი პოლიტიკის და მოსახლეობის გენდერულ საჭიროებებზე მორგებული მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით.

გენდერული თანასწორობის საბჭოების ფორმატში, ფონდ „სოხუმთან“ მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ წყალტუბოს, ქუთაისის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, თერჯოლის, სენაკის, ფოთის, ზუგდიდისა და ხონის მუნიციპალიტეტებს, სადაც ფონდის წარმომადგენლები ოფიციალურად არიან გენდერული საბჭოების წევრები. გაფორმდა მემორანდუმი ბაღდათის მუნიციპალიტეტთან და შემუშავების პროცესშია მემორანდუმები ტყიბულის, თერჯოლის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებთან.[13]

2.2. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობასთან თანამშრომლობა

ფონდი „სოხუმი“ აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობებთან ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში, მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესების, ადგილობრივი მოხელეების გადამზადების, გენდერული ძალადობის საკითხებზე მათი ინფორმირებულობის გაზრდის და ძალადობასთან ბრძოლაში საკუთარი როლის გააზრების ხელშეწყობის გზით. აგრეთვე ფონდი აქტიურად მუშაობს სამიზნე რეგიონების მოსახლეობასთან, მათ შორის, ქალებისა და გოგონების სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენისა და თვითმმართველობების წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტის ადვოკატირების მიმართულებით. შეიძლება ითქვას, ორგანიზაცია ერთგვარი ხიდის როლს ასრულებს ადგილობრივ მოსახლეობასა და მუნიციპალურ ორგანოებს შორის, ხელს უწყობს მათ დაახლოებას და მოსახლეობის უშუალო ჩართვას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ფონდი „სოხუმი“ ასევე აქტიურად უწყობს ხელს მუნიციპალიტეტის ფარგლებში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი **რეფერირების სუბიექტებს შორის კოორდინაციის მექანიზმის დანერგვას და გაუმჯობესებას,** სამიზნე მუნიციპალიტეტების საკრებულოებში, რეფერირების სისტემის სუბიექტების ჩართულობით, საინფორმაციო შეხვედრების, მრგვალი მაგიდების, პრეზენტაციების და დისკუსიების ჩატარების გზით. ორგანიზაცია წლებია, **აქტიურად სწავლობს** სამიზნე მუნიციპალი-

13 ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის საკონსულტაციო სერვისის გაწევის მოკლე ანგარიში, გვ. 3 http://fsokhumi.ge/images/2018/7/shexvedrebi/19/geo.pdf

ტეტებში მცხოვრები **ქალებისა და გოგონების წინაშე არსებულ პრობლემებს**. მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან გამოვლენილი საჭიროებების და გამოწვევების გათვალისწინებით, ადგილობრივ მუნიციპალურ პროგრამებში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული მექანიზმების დანერგვის და ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირების სერვისების შეთავაზების მიმართულებით.[14]

ფონდი „სოხუმის" მრავალმხრივ საქმიანობაში მნიშვნელოვანი მიმართულებაა **თანამშრომლობა თვითმმართველ ერთეულებთან** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების თვალსაზრისით. რეგიონებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის ინფორმირება ოჯახში ძალადობისა და მსხვერპლთათვის არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ. ორგანიზაციის მობილიზატორები ეცნობიან სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების პროგრამებს და ავრცელებენ ინფორმაციას, ასევე უშუალოდ ეხმარებიან ბენეფიციარებს საჭირო სერვისის მიღებაში.

ძალადობის პოტენციურ მსხვერპლ ქალთა და გოგონათა საჭიროებების შესწავლას, ასევე ძალადობასთან ბრძოლის არსებული მექანიზმების შესახებ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას და ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის თვითმმართველობებთან ადვოკატირებას, ფონდი „სოხუმი" ახორციელებს **ქალთა მხარდაჭერის ცენტრების** მეშვეობით, რომლებიც შექმნილია დასავლეთ საქართველოს 9 მუნიციპალიტეტში. საგულისხმოა, რომ პერიფერიებში არსებული ინფორმაციის დეფიციტის გამო, ქალთა მხარდაჭერის ცენტრების გეოგრაფიული არეალი საგრძნობლად გაიზარდა და მათ სამუშაო რუკაზე გაჩნდა არა მარტო ქალაქები, არამედ სოფლებიც.[15] ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში ქალებს შეუძლიათ უფასო ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციის მიღება.[16]

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებმა ბოლო წლებში დაიწყეს დამოუკიდებელი პროექტების შემუშავება და განხორციელება. პროექტები მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მათ შორისაა ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ ერთეულებთან (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, სენაკი და ოზურგეთი). ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ინიციატივით წელიწადში ერთხელ, მარტში, ქალთა სოლიდარობის კვირეულის დროს, საკრებულოებში ტარდება მრგვალი მაგიდები, რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებიან აქტივისტები, ახალგაზრდები, მასმედიის წარმომადგენლები. ეს არის ერთგვარი ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.[17]

ფონდი „სოხუმი" აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტებთან **საგანმანათლებლო, ექსპერტული, კვლევითი, საკონსულტაციო სერვისების მიწოდების** მხრივ.

---

14 „ქალთა ხმა", საინფორმაციო ბიულეტენი #7
http://fsokhumi.ge/images/2017/8/pub/1/qartuli%207.pdf

15 ფონდი „სოხუმის" შემაჯამებელი გამოცემა პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში" ფარგლებში, გვ. 5
http://fsokhumi.ge/images/2017/12/public/1/Pdf.pdf

16 „ქალთა ხმა," საინფორმაციო ბიულეტენი #7, გვ. 8
http://fsokhumi.ge/images/2017/8/pub/1/qartuli%207.pdf

17 ფონდი „სოხუმის" შემაჯამებელი გამოცემა პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში" ფარგლებში, გვ. 10
http://fsokhumi.ge/images/2017/12/public/1/Pdf.pdf

ორგანიზაცია ყოველწლიურად ატარებს ტრენინგებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე ადგილობრივი ორგანოებისა და საზოგადოების ჩართულობით ეწყობა დისკუსიები მრგვალი მაგიდის ფორმატით.[18] ფონდი „სოხუმის“ ინიციატივით გაფორმდა შეთანხმება სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთობლივი ტრენინგების ჩატარების თაობაზე გენდერისა და გენდერული ძალადობის თემაზე სენაკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისა და ახალგაზრდული ჯგუფებისათვის.[19] მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების უმთავრეს წყაროს ხშირად მერის წარმომადგენლები წარმოადგენენ. ფონდმა „სოხუმმა“ ამ მიმართულებით იმუშავა ასევე წყალტუბოში, სენაკში, ოზურგეთში, თერჯოლასა და ზუგდიდში და გადაამზადა მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მუნიციპალიტეტების და ფონდი „სოხუმის“ პარტნიორობის შედეგად დანერგილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლების (მასწავლებლები, აღმზრდელები, მეთოდისტები, დირექტორები) გადამზადება გენდერისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. წყალტუბოს, ფოთის, სენაკის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ტრენინგების ციკლი სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალთან.

ფონდი „სოხუმი“ მუნიციპალიტეტებთან ახორციელებს ერთობლივ კვლევით პროექტებსაც. მაგალითად, სენაკის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოსა და ფონდის ერთობლივი პროექტის „ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა - გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის პრობლემის პრევენციისათვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის 14 თემში ჩატარდა კვლევა ქალთა მიმართ ძალადობის სიტუაციური ანალიზის მიზნით[20], რომლის შედეგად მომზადდა და გამოიცა „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის სიტუაციური ანალიზი სენაკის მუნიციპალიტეტში“.[21]

ორგანიზაციას ჩატარებული აქვს კვლევები თვითმმართველობების საჭიროებისთვის - არსებული მდგომარეობისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების მუშაობის შეფასებისთვის, მათ შორის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაკვეთით.[22] პროექტი განხორციელდა მუნიციპალიტეტის 48 თემის წარმომადგენელთა ჩართულობით და ითვალისწინებდა ტრენინგების ჩატარებას თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და თემის აქტივისტებისათვის, რამაც ხელი შეუწყო ოჯახში ძალადობის პრევენციას, შემთხვევების იდენტიფიცირებისა და მართვის საკითხში თვით-

---

18 ფონდი „სოხუმის“ შემაჯამებელი გამოცემა პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, გვ. 9-10
http://fsokhumi.ge/images/2017/12/public/1/Pdf.pdf

19 კიდევ ერთი ერთობლივი პროექტი
http://gac.at.ua/news/kidev_erti_ertoblivi_proekti/2015-02-24-280

20 „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის სიტუაციური ანალიზი სენაკის მუნიციპალიტეტში“
http://fsokhumi.ge/index.php/ka/newska/publictia/ 5248-2018-12-13-17-17-23

21 კვლევის ანგარიში იხ.:
http://fsokhumi.ge/images/2018/12/pub/1/zigni-A5-elversia-1-st.pdf

22 კვლევის ანგარიში: „ოჯახში ძალადობის პრობლემის სიტუაციური ანალიზი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში“
http://fsokhumi.ge/index.php/ka/newska/publicatia/6118-2019-12-02-18-16-27

მმართველობის ჩართვას და მისთვის საკანონმდებლო ცვლილებებით დაკისრებული უფლება-მოვალეობების გააზრებას და სწორად განხორციელებას, ასევე დაინტერესებულ მხარეებს შორის უკეთეს კოორდინაციას.

ფონდმა „სოხუმმა“ ხარაგაულის, სამტრედიის, ქუთაისის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ჭიათურის, წალენჯიხის, ხონისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს გაუწია კონსულტაცია ადგილობრივი გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის პროექტის გასაუმჯობესებლად. ვანის, თერჯოლის, ლანჩხუთის, ბაღდათის, საჩხერისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებმა კი სამოქმედო გეგმებზე მუშაობა დაიწყეს ფონდ „სოხუმთან“ მჭიდრო თანამშრომლობის შემდეგ.[23] ასევე ფონდი „სოხუმის“ საკონსულტაციო ჯგუფმა 15 მუნიციპალიტეტში ჩაატარა მუშაობა ადგილობრივი თვითმმართველობების გენდერული პოლიტიკის, ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოების მუშაობის ორგანიზების კუთხით.[24]

ფონდი „სოხუმის“ და სხვა კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და კონსულტაციების გამოყენებით, უკვე შეიძლება საუბარი ადგილებზე გენდერული პოლიტიკის რეალიზებაზე. რიგმა მუნიციპალიტეტებმა პირველად დაიწყეს ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების პროგრამების დანერგვა. მაგალითად, ხონის მუნიციპალიტეტმა 2018 წლის ბიუჯეტში შეიტანა ცვლილება; ქუთაისში, ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ზესტაფონში კი ამ მიმართულებით მუშაობა შედარებით ადრე დაიწყო. ასევე დაწყებულია მუშაობა გენდერული სტატისტიკის საწარმოებლად. ცალკეული მუნიციპალიტეტების სამოქმედო გეგმაში არა მარტო გაწერილია კადრების შერჩევის დროს საკონკურსო კომისიაში გენდერული სენსიტიურობის დანერგვა, არამედ უკვე პრაქტიკულად არის გამოყენებული (ტყიბულის, ქუთაისის მუნიციპალიტეტებში).

ფონდი „სოხუმი“, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი კოალიციური პროექტის ფარგლებში, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ჩართული იყო „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის განხორციელების **ეროვნული სამოქმედო გეგმის ადგილობრივ დონეზე ლოკალიზების/დანერგვის პროცესში.** პროექტი მიზნად ისახავდა 10 მუნიციპალიტეტში, 2018-2020 წლების გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის ადგილობრივ დონეზე პოპულარიზებას, მის მუნიციპალურ სამოქმედო გეგმებთან ჰარმონიზებას და ადგილობრივი პოლიტიკის წარმართვას კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების სპეციფიკურ საჭიროებებზე მიმართული მოქმედებების გათვალისწინებით.[25] **ზუგდიდის, წალენჯიხის და წყალტუბოს** მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერულ საბჭოებთან, ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან, კონფლიქტით დაზარალებულ და დევნილ ქალებთან/გოგონებთან ფონდი „სოხუმის“ აქტიური თა-

23 ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის საკონსულტაციო სერვისის გაწევის მოკლე ანგარიში, გვ. 1 http://fsokhumi.ge/images/2018/7/shexvedrebi/19/geo.pdf

24 ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის საკონსულტაციო სერვისის გაწევის მოკლე ანგარიში, გვ.: 1 http://fsokhumi.ge/images/2018/7/shexvedrebi/19/geo.pdf

25 პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია, „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციისთვის გადადგმული ნაბიჯები საქართველოში“, UN Women, 13 თებერვალი, 2019
https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2019/02/georgia-moves-forward-with-localization-of-national-action-plan

ნამშრომლობის შედეგად, არაერთი ცვლილება შევიდა ამ თვითმმართველი ერთეულების მუნიციპალურ სამოქმედო გეგმებში და აისახა ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და დევნილ ქალთა და გოგონათა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის გაზრდისა და სამშვიდობო ინიციატივების განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნისკენ.[26] ლოკალიზაციის პროექტის განხორციელებისას განსაკუთრებით საინტერესო პრეცედენტი შეიქმნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სადაც 2019 წლის ბიუჯეტში[27] შეიტანეს გენდერული თანასწორობის პროგრამა და გაწერეს 10 000 ლარი ოთხი ქვეპროგრამის განხორციელებისთვის: გენდერული საბჭოს გაძლიერების; ოჯახში ძალადობისგან დაცვის და ძალადობის პრევენციის; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გენდერული განათლებისა და ოჯახში ძალადობაზე ცნობიერების ამაღლების; ქალთა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერების და ეკონომიკური აქტიურობის ხელშეწყობის ქვეპროგრამები. ამ უკანასკნელთა რეალიზაციისთვის კონკრეტული ღონისძიებები გაიწერა წალენჯიხის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაშიც.

გარდა ამისა, ფონდ „სოხუმს“ მომზადებული აქვს არაერთი **პოლიტიკის დოკუმენტი, კვლევა, სახელმძღვანელო,** რომლებიც ორიენტირებულია გენდერული თანასწორობის მექანიზმების დანერგვასა და ამ მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერებაზე. მათ შორის, გამოცემულია **მეთოდური სახელმძღვანელო-გზამკვლევი,** რომელიც დაეხმარება **ადგილობრივი ბიუჯეტის მონიტორინგისა და გენდერული ანალიზით** დაინტერესებულ ყველა მხარეს.[28] ორგანიზაციას მომზადებული აქვს ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის და ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის კვლევა/ანალიზი გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით.[29] ფონდმა „სოხუმმა“ იმუშავა გენდერული ბიუჯეტისა და გენდერული მიდგომების პოპულარიზაციისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. ორგანიზაციის მხარდაჭერით წყალტუბოში დაინერგა **მონაწილეობითი ბიუჯეტის პრაქტიკა.** ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის დანერგვის დროს გამოვლენილი გამოწვევების დაძლევა ფონდის მიერ ადვოკატირებულია შესაბამის სტრუქტურებთან, რათა ხელი შეეწყოს გენდერულ მეინსტრიმინგს და დაბალანსებულ სოციალურ პოლიტიკას ადგილობრივ დონეზე.[30]

ასევე ფონდ „სოხუმს“ მომზადებული აქვს **სტრატეგიული გზამკვლევი ადგილობ-**

---

26 ზუგდიდი, ეროვნული სამოქმედო გეგმა 1325 (2018-2020) საგზაო რუკა http://www.zugdidi.gov.ge/sites/default/files/okmi-4.pdf; გაეროს რეზოლუციის 1325 ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ წყალტუბო, „გაეროს რეზოლუციის 1325 ეროვნული სამოქმედო გეგმის შესახებ“ http://tskaltubo.gov.ge/post?id=399;

27 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი https://matsne.gov.ge/ka/document/view/4441130?publication=0

28 ადგილობრივი ბიუჯეტის მონიტორინგის და გენდერული ანალიზის გზამკვლევი http://fsokhumi.ge/images/2016/28.01-28.02/Publik/2/Ge.pdf

29 ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერული ანალიზი http://fsokhumi.ge/index.php/ka/newska/kvleva/3121-ადგილობრივი-ბიუჯეტის-გენდერული-ანალიზი

30 მოკლე ანგარიში, გვ. 3-4 http://fsokhumi.ge/images/2018/7/shexvedrebi/19/geo.pdf

რივი ხელისუფლებისთვის - „გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვა მუნიციპალიტეტებში“.[31] დოკუმენტში ინტეგრირებულია საქართველოს (მათ შორის აფხაზეთის) და ვიშეგრადის ოთხი ქვეყნის (უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი) გამოცდილების შედეგად დაგროვილი ექსპერტული მოსაზრებები და რეკომენდაციები. გზამკვლევი არის დამხმარე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივ ხელისუფლებას გენდერზე ორიენტირებული პოლიტიკის დანერგვაში. მასში მოცემულია იმ საკითხთა ნუსხა, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია გენდერული მეინსტრიმინგის გასატარებლად ადგილობრივ პოლიტიკაში.[32]

ფონდი „სოხუმის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოცემაა - **„გენდერული მეინსტრიმინგი ადგილობრივ თვითმმართველობაში“.** ეს არის სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტთა მიერ შესრულებული ნაშრომების კრებული, რომელიც მიზნად ისახავს ვიშეგრადის ქვეყნების და საქართველოს გამოცდილების გათვალისწინებით, ადგილობრივ მმართველობაში გენდერული პოლიტიკის ადვოკატირებას.[33]

ასევე ფონდი „სოხუმის“ მიერ შემუშავებული და გამოცემულია არაერთი მეთოდური სახელმძღვანელო, მათ შორის: **მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის პროექტი** - ეს არის ნიმუში, მოდელი, რომლის საფუძველზეც შეიძლება ადგილობრივი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული სამოქმედო გეგმის გაწერა.[34]

ადგილობრივ თვითმმართველობასთან, სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად გაიზარდა ფონდი „სოხუმის“ ავტორიტეტი. სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოგვარებული არაერთი პრობლემა ამის დასტურია. ორგანიზაციის მიერ გაწეული შრომა სათანადოდაა შეფასებული პარტნიორების მიერაც: „აღფრთოვანებული ვარ იმ საქმიანობით, რომელსაც ეწევით. მართლაც შთამბეჭდავია და ეფექტიანი. თქვენ ძალიან წარმატებით თანამშრომლობთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. სასურველია თქვენი საქმიანობა არა მხოლოდ ადგილობრივ, ცენტრალურ დონეზე განვითარდეს, თქვენ ამისთვის ყველანაირი რესურსი გაგაჩნიათ.“[35]

ფონდი „სოხუმი“ კვლავაც აგრძელებს მუშაობას სამიზნე მუნიციპალიტეტებში, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ასევე უშუალოდ მოსახლეობასთან ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.

---

31 საკონსულტაციო სერვისი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის
http://fsv4.ge/index.php/ka/news-ka/riserch-ka

32 სტრატეგიული გზამკვლევი ადგილობრივი ხელისუფლებისთვის - ფონდი „სოხუმის“ ახალი პუბლიკაცია
http://fsokhumi.ge/index.php/ka/newska/publicatia/4727-2018-06-30-08-14-47

33 „გენდერული მეინსტრიმინგი ადგილობრივ თვითმმართველობაში“
http://fsokhumi.ge/index.php/ka/newska/publicatia/ 4493-2018-04-27-06-28-26

34 მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის პროექტი
http://fsokhumi.ge/images/2018/7/public/2/samoqmedoge.pdf

35 დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელის კარსტა ნეუნროფის შეფასება, იხ. ფონდი „სოხუმის“ შემაჯამებელი გამოცემა პროექტის „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში, გვ. 12
http://fsokhumi.ge/images/2017/12/public/1/Pdf.pdf

თავი III.

გენდერული ძალადობის პრევენციის და რეაგირების საქმეში მუნიციპალიტეტების ჩართულობის სამართლებრივი ასპექტები

ოჯახში ძალადობა ქალთა დისკრიმინაციის ძალზე გავრცელებული სახეა. **ქალთა დისკრიმინაციისგან დაცვა** და მათთვის მამაკაცებთან თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა **გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.** ამასთან, სახელმწიფო იღებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიმართოს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად,[36] ასევე კანონით იცავს დედათა და ბავშვთა უფლებებს.[37] სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.[38] აღნიშნული ვალდებულებები ვრცელდება როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასახულია ამ პრობლემის წინააღმდეგ გატარებულ მთელ რიგ რეფორმებსა და საკანონმდებლო სიახლეებში.[39] თვითმმართველობის ორგანოები ჩართულნი არიან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განხორციელებაში.

ქვეყანა ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავიდა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებით, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ[40] აუცილებელი გახდა საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო აქტის ნორმებთან ჰარმონიზაცია.

სტამბოლის კონვენცია წარმოადგენს ევროპაში პირველ სავალდებულო ხასიათის სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვას და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რაც აუცილებელია ქალების წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი სახის ძალმომრეობითი ქმედების თავიდან ასაცილებლად.

---

36 საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 11.1, 11.3
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

37 იქვე, მუხ. 30.2

38 საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხ. 4.1
https://matsne.gov.ge/ka/document/download/91624/8/ge/pdf

39 ფონდი „სოხუმის“ მონიტორინგის ანგარიში: „სამართალდამცავი ორგანოების როლი და არსებული პრაქტიკა - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული საკანონმდებლო სიახლეების პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგი“
http://fsokhumi.ge/images/2019/7/pub/1/policia-el.pdf

40 ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. სტამბოლის კონვენცია)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

კონვენცია ითვალისწინებს **რეგიონულ, ადგილობრივ დონეზე ღონისძიებების განხორციელებას** ამ აქტის მიზნების უკეთ რეალიზებისათვის. კერძოდ, კონვენციის თანახმად, მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა, რათა უზრუნველყონ სათანადო მექანიზმები, ყველა სახელმწიფო და ასევე რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს შორის წარმატებული თანამშრომლობისათვის, კონვენციის სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვისა და მხარდაჭერისთვის მიღებული ზომები მიზნად უნდა ისახავდეს მეორადი ძალადობის თავიდან აცილებას და ძალადობის მსხვერპლ ქალთა შესაძლებლობების გაფართოებას და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. სახელმწიფომ ყველა დონეზე ხელი უნდა შეუწყოს, რეგულარულად ჩაატაროს საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიები თუ პროგრამები, რათა ამაღლდეს ფართო საზოგადოების ცნობიერების დონე კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის სხვადასხვა გამოვლინების და პრევენციის აუცილებლობის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ კონვენცია ვალდებულებას აკისრებს ხელმომწერ მხარეს, მიიღოს ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომა, რათა კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი აქტის ყველა მსხვერპლისთვის უზრუნველყოფილი იყოს, ან შეიქმნას სათანადო გეოგრაფიული განაწილების დაცვით, გადაუდებელი, მოკლე და გრძელვადიანი სპეციალიზებული მხარდაჭერის სამსახურები.[41]

კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, ცვლილება შევიდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და განისაზღვრა, რომ **მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს ღონისძიებები - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით.**[42]

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **მუნიციპალიტეტის ორგანოები** საკანონმდებლო აქტებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. მუნიციპალიტეტში, მერის მიერ განისაზღვრება შესაბამის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე, გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით. ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია. სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უწევენ ორგანიზაციულ, საინფორმაციო და სხვა სახის დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

41 ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. სტამბოლის კონვენცია), მუხ. 5, 7, 13, 18.2-3, 22

42 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხ. 16.4
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

მათ საქმიანობაში დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.[43]

თვითმმართველი ერთეულები საქართველოში, ევროპისგან განსხვავებით, მსხვილია და შედარებით ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. შორეული ან/და მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებთათვის რთულია მერიისგან სერვისების მიღება, რადგან ეს უკანასკნელი ადმინისტრაციულ ცენტრში მდებარეობს. ამის გათვალისწინებით, მოსახლეობასთან კონტაქტის ხელშეწყობისათვის არსებობს - **მერის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში.** ეს უკანასკნელი ერთგვარი შუამავალია ადგილობრივ ხელსუფლებასა და მოსახლეობას შორის და მათ უკეთეს კომუნიკაციას და ინფორმაციის გაცვლას უწყობს ხელს. იგი ინიშნება მერის მიერ და უფლებამოსილება განისაზღვრება მერიის დებულებით, მათ შორის: მერს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ; მერის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას; უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას.[44] **მერის წარმომადგენლების** აქტიურ და ეფექტიან მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ორგანოების პროგრამების, სერვისების, პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და კონკრეტულ ადამიანამდე მიტანისათვის, მით უფრო, რომ ინფორმაციის გავრცელების ისეთი წყარო, როგორიცაა ინტერნეტი, ხელმიუწვდომელია სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის. წინამდებარე კვლევამ დაადასტურა, რომ, მაგალითად, თვითმმართველობის მიერ მსხვერპლის მხარდაჭერის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მწვავე დეფიციტია ადგილობრივ მოსახლეობაში. ამდენად, ამ მიმართულებით ძალისხმევა უნდა გაიზარდოს.

საქართველოში არსებული თვითმმართველი ერთეულები საკმაოდ მწირი რესურსების მქონენი არიან. მათი ბიუჯეტიც შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება. ამ სირთულის საწინააღმდეგოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს შესაძლებლობას მუნიციპალიტეტებისათვის, მერიის გადაწყვეტილებითა და საკრებულოს თანხმობით, განახორციელონ **ერთობლივი საქმიანობა**. რამდენიმე მუნიციპალიტეტს შეუძლია უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელებისა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევის მიზნით, დააფუძნოს ერთობლივი კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ან გახდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრი. მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან, შექმნან ერთობლივი სამსახური. აგრეთვე, ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, სხვა მუნიციპალიტეტთან დადოს ხელშეკრულება საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ.[45]

---

43 საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხ. 13.1,1[2,]2, 3

44 მერის წარმომადგენლის უფლებამოსილება, ძირითადად, სტანდარტულია, მაგალითისთვის იხ.: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №9 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მუხ. 19 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3959788?publication=0

45 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხ. 21

მეტიც, მუნიციპალიტეტებს ასევე აქვთ **ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის უფლება** - თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია, ითანამშრომლოს სხვა ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან „ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ“ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.[46]

ადგილობრივ თვითმმართველობაში არსებობს სპეციალური მექანიზმი, გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად - **მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო** (შემდეგში - გენდერული საბჭო). ამ ორგანოს ქმნის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მისი შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.[47]

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა შექმნეს გენდერული თანასწორობის საბჭო და დაამტკიცეს მისი სამოქმედო დებულება. აღნიშნული დოკუმენტი, ძირითადად, ერთი ნიმუშის ფარგლებშია შექმნილი და მსგავსია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. ამ ორგანოს უფლებამოსილება, შექმნის და საქმიანობის წესი დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს[48] მაგალითზე.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მის წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალი სახელმწიფო სტრუქტურაა ჩაბმული. ამ ბრძოლის ეფექტიანობა პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული, ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი ყველა უწყების მიერ დაკისრებული როლის გააზრებასა და მოვალეობათა პირნათლად შესრულებაზე.

სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, რომლის[49] უმთავრესი ამოცანაა სტამბოლის კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისაკენ მიმართული პოლიტიკის და განხორციელებული ზომების კოორდინაცია, განხორციელებაზე მონი-

46 იქვე, მუხ. 22

47 საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხ. 13.1[1]

48 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N8 დადგენილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959768?publication=0

49 საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, მუხ. 12.6
https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=8

ტორინგი და შეფასება.[50] უწყებათაშორისი კომისიის წევრია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონალურ საკითხებში[51], რომლის ამოცანაა უზრუნველყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთობის კოორდინაცია.[52]

უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილია, გენდერული თანასწორობის პრინციპების დასამკვიდრებლად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავებისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და დაწესებულებებიდან გამოითხოვოს თავისი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია.[53]

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტებში გასატარებელი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლების და მუნიციპალიტეტის ორგანოს თანამშრომლებისთვის პროფესიული ტრენინგების ჩატარება; რეგიონებში, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან, ეთნიკურ უმცირესობებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება; შერჩეულ გეოგრაფიულ ერთეულებში რელიგიური ლიდერების ჩართვა. ამ ვალდებულებათა შესრულებაზე პასუხისმგებელ სუბიექტად მუნიციპალიტეტის ორგანოები განისაზღვრა.

სახელმწიფო აუდიტის მიერ სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების თაობაზე უწყებათაშორისი კომისიისგან გამოთხოვილი ინფორმაციით დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტებისგან ინფორმაციის გამოთხოვის მექანიზმის არარსებობის და კომუნიკაციის ნაკლოვანებების გამო, ამ უკანასკნელთა მიერ შესრულებულ საქმიანობაზე კომისიას მონაცემები არ ჰქონდა. კერძოდ, უწყებათაშორისი კომისიის მიერ მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ვალდებულებების განსაზღვრა მოხდა კონკრეტული ორგანოს და პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირების, ინფორმირების და გეგმის შემუშავების პროცესში ჩართვის გარეშე. ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა ცალკე აქტივობად ითვალისწინებს მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის

---

50 საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილებით დამტკიცებული „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულება“, მუხ. 4.ლ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3698004?publication=0

51 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის №155 დადგენილება „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4517992?publication=0

52 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილება „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ მუხ. 2.ო[1]
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4234622?publication=0

53 „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულება“, მუხ. 5.ა
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3698004?publication=0

მექანიზმების შემუშავებას, ხოლო 2016-2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ახალ, 2018-2020 წლის გეგმაში აღარაა ასახული.[54]

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა **2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა[55],** რომელშიც მითითებულია ერთ-ერთი შემდეგი ამოცანა - კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად განისაზღვრა თვითმმართველობის მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები (საქმიანობა), კერძოდ კი:

1. მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის შემუშავება არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით (1.2.1);
2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტებისა და პროგრამების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება და წარდგენა მუნიციპალიტეტებისათვის (1.2.2);
3. პოლიტიკის დოკუმენტებსა და პროგრამებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხთა ინტეგრირების მიზნით მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა (1.2.3).

ზემოაღნიშნული პირველი ორი ვალდებულების შესრულების ვადად, სამოქმედო გეგმით, 2018 წლის მესამე-მეოთხე კვარტლები იყო განსაზღვრული, ხოლო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხთა პოლიტიკის დოკუმენტებსა და პროგრამებში ინტეგრირებისთვის მუნიციპალიტეტების მხარდასაჭერად - 2018-2020 წლები.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საქმიანობათა განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებად განსაზღვრულია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, ხოლო პარტნიორ უწყებებად: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად. ამ საქმიანობათა დაფინანსების წყაროდ მითითებულია სახელმწიფო ბიუჯეტი - ადმინისტრაციული ხარჯები ასიგნებების ფარგლებში.

წინამდებარე დოკუმენტზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ 2019 წლის პირველი ნახევრისთვის, კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტებში, სამოქმედო გეგმით გან-

54 ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, გვ. 47

55 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 აპრილის №175 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე". 2019 წლის 12 თებერვალს დადგენილებაში შევიდა ცვლილება და დანართი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, თუმცა თვითმმართველობის მიმართულებით არსებული დებულებები არ შეცვლილა.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4144947?publication=0

საზღვრული საქმიანობები არ განხორციელებულა.

სამოქმედო გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს სახელმწიფო უწყებების მიერ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებსა და არსებულ სახელმწიფო მომსახურებებზე, საგანმანათლებლო-საინფორმაციო, სპორტული ან/და შემოქმედითი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას თბილისსა და რეგიონებში, განსაკუთრებით, უმცირესობის წარმომადგენლებთან.[56]

იმისათვის, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმით გაწერილი საქმიანობები პასუხობდეს არსებულ გამოწვევებს, საჭიროა კომისიის ფარგლებში ანალიტიკური პროცედურების, მონიტორინგის, ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე კომუნიკაციის ფუნქციური გაუმჯობესება.[57] ეს უნდა განხორციელდეს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის, როგორც მაკოორდინირებელი ორგანოს, ინსტიტუციური და სამართლებრივი გაძლიერების გზით.

გენდერული თანასწორობის ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაზრდის კუთხით მუშაობს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოც,[58] რომლის წევრებიც მართავენ საჯარო შეხვედრებს ოჯახში ძალადობის თემაზე სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, ასევე მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის გენდერული პოლიტიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრებში, კვლევის „მერობის ქალი კანდიდატების გამოწვევები საქართველოში“ პრეზენტაციაში.[59]

პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დამტკიცებული აქვს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა,[60] სადაც გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეებთან, აგრეთვე მუნიციპალიტეტების საკრებულოთა წევრ ქალებთან.[61] აღნიშნული საქმიანობის შემსრულებლად, საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით, განსაზღვრულია: პარ-

56 ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა - 3.2.2

57 ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, გვ. 48

58 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო
http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho

59 გენდერული თანასწორობის საბჭოს 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 18-20
http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/100245/GEC_Report_2017

60 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა
http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/90951/სამოქმედო_გეგმა_2018-2020_Webpage

61 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა - 3.1

ლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, სამოქალაქო საზოგადოება და საკრებულოები.

პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2018 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ საბჭო თანამშრომლობს მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და საკრებულოს წევრ ქალებთან.[62] გეგმით განსაზღვრული ამოცანის - გენდერული თანასწორობის სფეროში არსებული სახელმწიფო მექანიზმების გამართული და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა - ფარგლებში გაიმართა შემდეგი აქტივობები: ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის არსებული მექანიზმების შესახებ საკოორდინაციო შეხვედრა, ტრენინგები პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობასა და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესზე. მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენელთა ჩართულობით გაიმართა პირველი ეროვნული კონფერენცია - „გენდერული თანასწორობა ადგილობრივ თვითმმართველობებში - გამოწვევები და შესაძლებლობები," ასევე რეგიონული კონფერენცია - „მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში", რომლის მიზანი იყო იმერეთის მხარის თორმეტივე მუნიციპალიტეტის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ქალთა საჭიროებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის პრინციპების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარე სიტყვით გამოვიდა საქართველოს საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის ყოველწლიურ კონფერენციაზე, სადაც ისაუბრა იმ დადებით შედეგებზე, რომლებიც მოჰყვება ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას ადგილობრივ თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებაში. საბჭოს ვებგვერდზე განთავსდა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმი - ინტერაქტიული რუკა, რომელზეც დატანილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და უწყებათაშორისი კომისიის შესახებ. აღნიშნული რუკისთვის ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭომ 64 საკრებულოდან გამოითხოვა.[63]

ზემოაღნიშნული სასიკეთო ძალისხმევა უდავოდ მისასალმებელი, თუმცა ერთმნიშვნელოვნად არასაკმარისია. საჭიროა მუნიციპალიტეტებთან მეტი თანამშრომლობა, შეხვედრები, ინფორმირება, გენდერული თანასწორობის საბჭოების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა და ინსტიტუციური გაძლიერება, ასევე მეტი წახალისება, რათა მათ სრულად გაითავისონ და შეასრულონ მათზე დაკისრებული როლი, მათ შორის, საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დახმარება, ადგილობრივ დონეზე გენდერულ თანასწორობაზე და გენდერულ საჭიროებებზე ორიენტირებული პროგრამების შექმნასა და დანერგვაში.

---

62 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2018 წლის ანგარიში, გვ. 4
http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/109218/ანგარიში_2018

63 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2018 წლის ანგარიში, გვ. 13-14
http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/109218/ანგარიში_2018

TOGETHER - AGAINST VIOLENCE AGAINST WOMEN

თავი IV.

მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი მიღწევები და დადებითი ტენდენციები

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა თვითმმართველობების მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, მსხვერპლთა დახმარების მხრივ წინსვლა და, ზოგადად, მუნიციპალიტეტებში გენდერული მგრძნობელობის გაზრდა, რაც უდავოდ მისასალმებელია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს **გენდერული თანასწორობის საბჭოების** (შემდეგში - საბჭოების) ფუნქციონირება თვითმმართველობებში, რაც შედარებით ახალი ინსტიტუტია, თუმცა, რიგი ხარვეზების მიუხედავად, **ხელს უწყობს გენდერული საკითხების ადგილობრივი პოლიტიკის დღის წესრიგში მოხვედრას.** გენდერული პოლიტიკა თვითმმართველობისთვის სერიოზულ თემად იქცა –

„ძალადობის თემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პირველი საკითხია, რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭომ წამოსწია წინა პლანზე“ (ოზურგეთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

„გენდერული საბჭო, შეიძლება ითქვას, ყველა ღონისძიების უკან დგას, ვაცოცხლებთ ახალი ინიციატივებით. ჩვენ გავხადეთ გენდერი აქტიურ თემად ჩვენს მუნიციპალიტეტში“ (ბაღდათი, ფოკუს-ჯგუფი).

ასევე საბჭო ლობირებს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების გაუმჯობესებას –

„სწორედ საბჭოს გადაწყვეტილებით დაიგეგმა და ბიუჯეტში იქნა გათვალისწინებული ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების საკითხი“ (წყალტუბო, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

არსებული შეზღუდული რესურსების ფარგლებში საბჭოები ცდილობენ, ხელი შეუწყონ **მუნიციპალიტეტის მოხელეების ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას** და ამ კუთხით აქტიურად თანამშრომლობენ სამოქალაქო საზოგადოებასთან. საბჭოები გამოთქვამენ თანამშრომლობისა და განვითარების სურვილს, რათა უკეთ შეასრულონ მათზე დაკისრებული როლი –

„ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბჭოს ახალი წევრების კომპეტენციის ამაღლება და ფონდმა „სოხუმმა“ ამ კუთხით ძალიან დიდი სამსახური გაგვიწია“ (სენაკი, ფოკუს-ჯგუფი).

„მაქვს გავლილი ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგი, რომელიც გენდერულ თანასწორობას და საბჭოების შესაძლებლობების გაძლიერებას ეხებოდა“ (სამტრედია, ფოკუს-ჯგუფი).

ვანის მუნიციპალიტეტიდან მერის წარმომადგენლებმა სოფლებში აღნიშნეს, რომ აქვთ გავლილი ტრენინგი გენდერულ საკითხებში და ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მსგავსი პრაქტიკა. ასევე გენდერულ ბიუჯეტირებაზე გადამზადებული არიან საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურის წარმომადგენლებიც.

ცალკეული საბჭოები მუშაობენ **ადგილობრივ მოსახლეობასთანაც ძალადობის არსის, მისი ფორმების და დამცავი მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდების კუთხით -**

„საბჭოს მიერ არაერთი პროექტი და ინიციატივა განხორციელდება, რომელიც მიზანიმართული იქნება პირველ ეტაპზე ინფორმირებულობის დონის გაზრდაზე, რაც, თავის მხრივ, მოიცავს სხვადასხვა აქტივობას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან, სკოლებში და სოფლის მოსახლეობასთან" (ვანი, ფოკუს-ჯგუფი).

ზოგიერთ სამიზნე მუნიციპალიტეტში აღინიშნა, რომ თანდათანობით თვითმმართველობის სხვადასხვა ორგანო სულ უფრო მეტად აცნობიერებს თავის როლს ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ცდილობს, **სერვისები ადვილად ხელმისაწვდომი გახადოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.** მაგალითად, სამტრედიის ფოკუს-ჯგუფის მონაწილის თქმით, თვითმმართველობის წარმომადგენლები ხშირად უშუალოდ ეხმარებიან მსურველს განცხადების მომზადებაში და საჭიროების შემთხვევაში, ამისამართებენ მათ რეფერირების შესაბამის სუბიექტებთან, რაც უდავოდ მისასალმებელია. ასევე აღინიშნა, რომ -

„თვითმმართველობა, საკრებულოს წევრები, სოფლის დეპუტატები, ყველა ჩართულია პროცესში, ჩვენს შიდა რგოლებში თანამშრომლობა ნამდვილად მაღალია, დეპუტატები ხშირად შემოდიან თხოვნით, მაგალითად, ამ სოფელში, ამ ოჯახში არის ასეთი სიტუაცია, რით შეიძლება დავეხმაროთ. რეაგირება მაშინვე იწყება. ისევ დეპუტატების დახმარებით ვაწვდით ინფორმაციას, რომ ასეთი დახმარების პროგრამა გვაქვს და შეგიძლიათ ისარგებლოთ" (ოზურგეთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

საბჭოს ეგიდით **ინერგება სტრატეგიული დოკუმენტების შექმნის პრაქტიკა,** მუშავდება სამოქმედო გეგმები, სადაც გაწერილია საბჭოსა და თვითმმართველობის მიერ განსახორციელებელი აქტივობები, ასევე მზადდება საქმიანობის ანგარიშები. ეს შედარებით ახალი პრაქტიკაა და თანდათან ინერგება ყველა მუნიციპალიტეტში, თუმცა ტენდენცია, თავისთავად, სწორია. მაგალითად, სენაკის საბჭომ შეიმუშავა ინსტრუქცია რეფერირების პროცესში თვითმმართველობის როლის შესახებ. მერის რწმუნებულების ფუნქცია-მოვალეობებში განისაზღვრა ძალადობის შემთხვევათა იდენტიფიცირების და ამგვარ ფაქტებზე რეაგირების წესი. გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმა შემუშავებული აქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტსაც -

„ფონდი „სოხუმის" აქტიური დახმარებით მიღებული გვაქვს სამოქმედო გეგმა. ვფიქრობ, რომ გეგმა არის ძალიან კარგი, მგონია, რომ სამოქმედო გეგმის არსებობა არის წინაპირობა იმისა, რომ გენდერულმა საბჭომ იმუშაოს აქტიურად" (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

რამდენიმე მუნიციპალიტეტში საბჭოებმა დაიწყეს **ინფორმაციის მოძიება, სტატისტიკის შესწავლა** ოჯახში ძალადობის მხრივ არსებული მდგომარეობის შესაფასებლად (რამდენი ფაქტი დაფიქსირდა, რამდენი ორდერი გამოიცა). რესპონდენ-

ტების თქმით, ამ მონაცემების ცოდნა და გაანალიზება, რომელთა უკანაც კონ-კრეტული ადამიანების გასაჭირია, აუცილებელია, როგორც პრობლემის სიმწვავის შესაფასებლად, ასევე შესაბამისი **საპასუხო აქტივობის განსასაზღვრად,** მომავალი პროგრამების სწორად დასაგეგმად და, შედეგად, თვითმმართველობის ფუნქციების უკეთ შესასრულებლად -

„თვითმმართველობის როლი გამოიხატება იმაში, რომ ამ სტატისტიკის უკან მდგომი ოჯახების გაძლიერებაზე იზრუნოს“ (ბაღდათი, ფოკუს-ჯგუფი).

მონიტორინგმა აჩვენა, რომ ცალკეული მუნიციპალიტეტები აქტიურად ცდილობენ, **გააუმჯობესონ და დახვეწონ მოსახლეობასთან კომუნიკაცია,** რათა მეტ მსურველს მიუწვდებოდეს ხელი მუნიციპალურ სერვისებზე. მუშაობენ ძალადობის მსხვერპლთა მიმართვიანობის ზრდის და ცნობიერების დონის ამაღლების მიმართულებით, მათ შორის, თვითმმართველობაში არსებულ ა(ა)იპებთანაც -

„ჩატარებულია არაერთი ტრენინგი და შეხვედრა როგორც პედაგოგებთან, ასევე მშობლებთან. საბავშვო ბაღების 99% ცდილობს, მოხდეს ბავშვის სწორი აღზრდა, რათა მოვახდინოთ პრევენცია. ხშირად ტარდება აქტივობები ბავშვებთან ამ საკითხებზე. საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება არის მთავარი პრიორიტეტი“ (ქუთაისი, ფოკუს-ჯგუფი).

აღსანიშნავია, რომ, ადრინდელთან შედარებით, **საკრებულოებში გაუმჯობესებულია გენდერული ბალანსი, თანამშრომელი ქალებიც მეტ ხელშეწყობას გრძნობენ.** ბაღდათის საკრებულოში ექვსი ქალია, მათ შორის: ორი კომისიის თავმჯდომარეა, ორი - ფრაქციის ხელმძღვანელის მოადგილე. ლანჩხუთში არის შეღავათი წლამდე ბავშვის დედისთვის, ხელფასებში კი სხვაობა არაა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისაღებში არსებობს ბავშვთა ოთახი, ქალებს შეუძლიათ იქ გარკვეული დროით დატოვონ ბავშვები. ოზურგეთის საკრებულოში 8 ქალია წარმოდგენილი. ქალები ჭარბობენ აღმასრულებელ სისტემაშიც. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით -

„ძალიან მოტივირებული, აქტიური ქალები არიან, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი და სხვისი ინტერესების დაცვა“ (ოზურგეთი, ფოკუს-ჯგუფი).

ზოგიერთ შემთხვევაში დაფიქსირდა ამბიციური გეგმების არსებობა და მზაობა მათ განსახორციელებლად მუშაობისათვის, მათ შორის - ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის კუთხით. ამგვარი ინოვაციური პროექტი უდავოდ წაადგება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას და უნდა წახალისდეს, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ცენტრალური ხელისუფლების მიერაც, მათ შორის, პირველ ეტაპზე - ფინანსური თუ ინტელექტუალური მხარდაჭერით -

„საჭიროა ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრის შექმნა. არა ისეთი, როგორც ჩვეულებრივია. მინდა, რომ აქ მოხვედრილ ქალს ბოლომდე ჰქონდეს გარანტიები, დასაქმებით და სამუშაო ადგილით. ერთ მუნიციპალიტეტს გაუჭირდება ამის შექმნა, მაგრამ ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი რომ გაერთიანდეს, შეიძლება ამის გაკეთება. ჩვენ ვფიქრობთ ამაზე. პარლამენ-

ტის დეპუტატი გვინდა ჩავრთოთ, არა მხოლოდ გვიფიქრია, გვიმსჯელია კიდეც და ვფიქრობთ პროექტის შექმნას სწორედ ამ მიმართულებით“ (ოზურგეთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აქტიურია მსხვერპლისათვის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მხარდაჭერის კუთხითაც. იქ არსებობს პროფესიული კოლეჯი, სადაც ქალების გადამზადებაა შესაძლებელი, რადგან სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ფინანსურად ძლიერი, დამოუკიდებელი ქალი მეტად დაცულია ძალადობისგან.

ხონში ენთუზიაზმიათ ელიან პროფესიული სასწავლებლის ამუშავებას უახლოეს მომავალში, რასაც აქტიურად უჭერდნენ მხარს, რადგან იქ შესაძლებელი იქნება, მათ შორის, მსხვერპლი ქალების გადამზადება. ფოკუს-ჯგუფში მსჯელობისას მონაწილეებმა თქვეს, რომ პროფესიული მომზადება ნიშნავს სამუშაო ადგილს, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ეს ძალადობის პრევენციასაც ხელს შეუწყობს.

საინტერესოა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრაქტიკაც. ეს უკანასკნელი სტატისტიკურად პირველია იმერეთის რეგიონში შემაკავებელი ორდერების მაჩვენებლით და ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად, ფონდი „სოხუმის“ აქტიური მონაწილეობით ისეთ ღონისძიებას მიმართეს, როგორიცაა ტრენინგების ციკლის ჩატარება, სადაც ფონდი „სოხუმის“ ტრენერების დახმარებით მოხდა ბაღების ა(ა)იპ-ის თანამშრომლების, ბაღის დირექტორების და აღმზრდელების გადამზადება და ოჯახში ძალადობის და ძალადობის პრობლემასთან ბრძოლის მექანიზმების საკითხებში ცნობიერების ამაღლება. წყალტუბოს ყველა ბაღში შეიქმნა ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ჯგუფი, რომელშიც შედის ბაღის მენეჯერი, მეთოდისტი და ერთი პედაგოგი. ჯგუფი მუშაობს მშობლებთანაც, რაც ინფორმაციის გავრცელების კარგი საშუალებაა. დაიბეჭდა სპეციალური ბუკლეტები ძალადობის თემაზე.

მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებმა დაიწყეს ან/და გაზარდეს **ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერის პროგრამები.** არსებული მდგომარეობა, მართალია, ჯერ კიდევ შორსაა სასურველისგან, თუმცა ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები იმედს გვისახავს, რომ ძალისხმევა გაძლიერდება და თანდათან უფრო მასშტაბური გახდება. სიტუაციის მონიტორინგმა აჩვენა, რომ მსხვერპლის მხარდაჭერა უმეტესწილად ერთჯერადი დახმარებით (მოცულობა განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით) და ბინის ქირით უზრუნველყოფით შემოიფარგლება. გენდერული საბჭოები ცდილობენ, ჩაერთონ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და დოკუმენტში ასახონ მსხვერპლთა დახმარების გარანტიები, მაგალითად -

„ქუთაისის 2019 წლის ბიუჯეტში გენდერული საბჭოს რეკომენდაციები აისახა. ამას ხანგრძლივი მუშაობა უძღოდა წინ სხვადასხვა მუნიციპალურ სამსახურთან, იმისათვის, რომ იდეები და რეკომენდაციები არ დარჩენილიყო ჰაერში. ჩვენ გვინდოდა რეალური შედეგები დაგვედო და ინტენსიური კომუნიკაციები გვქონდა სოციალურ სამსახურთან, ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან. ამ პროცესში ჩართული იყვნენ მერის მოადგილეებიც“ (ქუთაისი, ფოკუს-ჯგუფი).

ქუთაისში არსებობს ოჯახში ან ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლის ერთჯერადი დახმარების პროგრამა თავშესაფრიდან გამოსული მსხვერპლებისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ძალადობის მსხვერპლზე დახარჯული წილი, ნებისმიერ შემთხვევაში, ძალზე მოკრძალებულია. ასევე **იშვიათია კონკრეტულად ოჯახში ძალადობის მსხვერპლზე ორიენტირებული ცალკე პროგრამების არსებობა.** მათ უმეტესად სხვა სოციალური პროგრამების ფარგლებში ეხმარებიან -

> ***„გამოვნახეთ სამართლებრივი მექანიზმები და შევიტანეთ ცვლილება სოციალურ პროგრამაში. დახმარების ჩამონათვალში დავამატეთ კატეგორია: ძალადობის მსხვერპლი. ამ ცვლილების შემდეგ ძალადობის მსხვერპლს შეუძლია ისარგებლოს ერთჯერადი დახმარებით, რაც თანხობრივად შეადგენს 300 ლარს“ (ბაღდათი, ფოკუს-ჯგუფი).***

თუმცა, ამ მხრივ, დადებითი ძვრები შეინიშნება. **ზუგდიდის მუნიციპალიტეტში** მუნიციპალურ სამსახურებს აქვთ დავალება, რომ გენდერული კომპონენტი იყოს გათვალისწინებული მათ ბიუჯეტში. ამასთან, ერთჯერადი დახმარება ადრე არსებული 400 ლარის ნაცვლად გაორმაგდა და 800 ლარს აღწევს. მუშაობს სხვა ხელისშემწყობი პროგრამები ბავშვების დასახმარებლად, მათი კვების უზრუნველსაყოფად. ასევე არსებობს კრიზისული ცენტრი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით შეიქმნა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს აქვს მცირე პროგრამა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვისათვის, რომელიც გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით ამუშავდა და ბიუჯეტი ითვალისწინებს ბინის ქირით უზრუნველყოფას ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებისათვის, გინეკოლოგის, რეპროდუქტოლოგის კონსულტაციას, ან საჭირო კვლევებისათვის თანხის გამოყოფას. **ქუთაისში** არსებობს ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამები, ასევე მარტოხელა დედის დახმარების პროგრამა. **ლანჩხუთის მუნიციპალურ** ბიუჯეტში გამოკვეთილად არის ჩანაწერი ძალადობის მსხვერპლის სახით და ამ კატეგორიას ეხმარებიან ბინის ქირით ერთი წლის განმავლობაში. აგრეთვე სოციალური პროგრამები მთლიანად ქალთა საჭიროებებს ეხმაურება. არსებობს სკრინინგის პროგრამა, რომლითაც, ძირითადად, ქალები სარგებლობენ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს აქვს თანადაფინანსების პროგრამა სამედიცინო კვლევებისათვის. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის** ბიუჯეტში პროგრამული მუხლით შეიტანეს ძალადობის მსხვერპლი ადამიანების დახმარების პროგრამა, რომელიც შემდეგ გაიზარდა, რითაც უპასუხეს მიმართვიანობის მზარდ ტენდენციას. ძალადობის მსხვერპლს დღესდღეობით შეუძლია, ერთჯერადი დახმარების სახით 500-ლარიანი დახმარება მიიღოს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირდაპირ წერია, რომ ძალადობის მსხვერპლს შეუძლია ისარგებლოს ბინის ქირით უზრუნველყოფით. აქვე აღსანიშნავია, რომ ბევრი სხვა მუნიციპალიტეტისგან განსხვავებით, მსხვერპლს პროგრამაში შეუძლია სტატუსის გარეშეც ჩაერთოს, თუმცა ბენეფიციართა წრის გაფართოება გარკვეულწილად დაკავშირებულია მომართვიანობის ნაკლებობით -

„პროგრამის დასრულების შემდეგ ვაკეთებთ მონიტორინგს, რამდენმა შემოიტანა განცხადება, რამდენი იყო მოსარგებლე პირი. ანალიზის შემდეგ ვაკეთებთ დასკვნას, რამდენად საჭიროა პროგრამის გაგრძელება ან დამატებითი თანხები და ასე შემდეგ. რაც შეეხება ძალადობის მსხვერპლის დახმარებას, ამ ეტაპზე ეს პროგრამა არ ითხოვს დამატებას, იმიტომ რომ მომართვიანობა არის დაბალი“ (ლანჩხუთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს აქვს სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა, რომელშიც ჯერ მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებია ჩადებული. ოზურგეთის გენდერული საბჭოს წევრის ინიციატივით და ძალისხმევით, შესაძლოა მომავალ წელს თანხის გამოყოფა მოხდეს ძალადობის მსხვერპლთათვის -

„ეს ჩემი სურვილია და გენდერული პროგრამებისთვის მოქალაქეები თვითონ წარმოადგენენ წინადადებებს/პროგრამებს. ელექტრონული ხმის მიცემა გვაქვს პროექტის შერჩევისას. ეს გამორიცხავს მიკერძოებას, ნეპოტიზმს“ (ოზურგეთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

მსგავსი პროგრამები ასევე ინერგება ფონდი „სოხუმის“ სხვა სამიზნე მუნიციპალიტეტებში, მაგალითად, წყალტუბოსა და ზუგდიდში.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მართალია, მეტ-ნაკლები მასშტაბით და წარმატებით, მაგრამ ცვლილებები პროგრესული მიმართულებით მაინც ხორციელდება. ამ გზაზე ადგილობრივ თვითმმართველობებს არაერთი დაბრკოლება აქვთ გადასალახი, რაზეც მომდევნო თავში ვიმსჯელებთ.

თავი V.

მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი გამოწვევები

მონიტორინგმა გამოკვეთა მუნიციპალიტეტების წინაშე არსებული სხვადასხვა სახის სირთულე და გამოწვევა. მათი ნაწილი სუბიექტურია - უშუალოდ ადგილობრივი ორგანოების ნაკლებეფექტიან მუშაობას და ზოგადად სისუსტეს უკავშირდება, ხოლო ნაწილს შედარებით ობიექტური საფუძველი აქვს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ზოგადი ტენდენცია, რომელიც უმეტეს მუნიციპალიტეტში გვხვდება, ესაა - **ასერტიული ქცევის, ინიციატივის ხელში აღების უნარის** და **ენთუზიაზმის სიმცირე,** რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია **კომპეტენციის ნაკლებობასთან**. ეს ყოველივე გამოძახილს ჰპოვებს ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულებაში, მისგან წამოსული ინსტრუქციებისა და მითითებების მოლოდინში. ყოველივე ამას უარყოფითი გავლენა აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა თუ ცალკეული თანამდებობის პირების მუშაობის ეფექტიანობაზე. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას ისიც, რომ თვითმმართველობის დამოუკიდებლობის გარანტიები, განსაკუთრებით ფისკალური დეცენტრალიზაციის კუთხით, შეზღუდულია და ცენტრალური ხელისუფლებაც არ ჩქარობს ცენტრიდან ადგილებზე რესურსების გადანაწილებას. შედეგად, ერთგვარი ჩაკეტილი წრე იქმნება.

მუნიციპალიტეტები ცდილობენ, ფეხი აუწყონ თანამედროვეობას და ეს გარკვეულწილად წარმატებით გამოსდით. **კვლევისას აშკარად გამოიკვეთა სამიზნე თვითმმართველ ერთეულებს შორის სხვაობა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში გამოჩენილი ძალისხმევის და კომპეტენციის მხრივ.** მეტ-ნაკლებად წარმატებული პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტების ფონზე არსებობენ შედარებით სუსტი ერთეულები. უნდა აღინიშნოს, რომ, უმეტესად, კარგი შედეგები ერთეული ენთუზიასტი მოხელეების ძალისხმევის შედეგი უფროა, ვიდრე საერთო მუნიციპალური პოლიტიკისა. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოხელეების გენდერული ცნობიერების ამაღლება, გენდერული თანასწორობის მიმართ მათი სენსიტიურობის ზრდა, რაც, შესაბამისად, უნდა გამოიხატოს ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში გენდერული თანასწორობის საკითხების იმპლემენტაციით -

„ბოლო წლებში ვისწავლეთ საერთოდ ხედვა, როგორი უნდა იყოს გენდერული მიმართულებით, თუმცა არიან ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი ხედვა, განათლება. ამიტომაც არის გამოწვევები თუნდაც იმ კუთხით, რომ თვითმმართველობაში მაღალი თანამდებობის პირებს სჭირდებათ იმის განმარტება, რომ გენდერული პოლიტიკა არის ქვეყნის პოლიტიკის ნაწილი“ (ბაღდათი, ფოკუს-ჯგუფი).

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქტუალურია **გენდერული მგრძნობელობისა და ცოდნის ნაკლებობა ადგილობრივ მოხელეებს შორის**, რაც ხშირად გამოიხატება აქტიური ქალების **დისკრიმინაციაში გენდერული საფუძვლით -**

„ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც ბოლომდე არა აქვთ გათავისებული პრობლემის მასშტაბები და საკუთარი როლი ამ პრობლემის პრევენციაში. საკრებულოს ერთ-ერთ სხდომაზე, როცა კოლეგა ქალბატონი მწვავე შეკითხვას სვამდა მტკივნეულ საკითხზე, იყო შეურაცხმყოფელი მიმართვა „ნუ წიკვინებ, გოგო, შენ! ენა გააჩერე.“ ჩვენ მაშინვე გავაპროტესტეთ, მაგრამ მხარდაჭერა დანარჩენი მამაკაცების მხრიდან არ წამოსულა. ჩათვალეს, რომ ეს იყო ხუმრობა და არ იყო დისკრიმინაცია. ნამდვილად უსიამოვნო იყო“ (ოზურგეთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

ეს კონკრეტული მაგალითი კარგად აჩვენებს, რამდენად აუცილებელია მუნიციპალიტეტის მოხელეების გადამზადებაზე ზრუნვა, რადგან ამ პირობებში რთული წარმოსადგენია ამ უკანასკნელთა მიერ მსხვერპლის ინტერესების დაცვა და დახმარება.

ეს პრობლემა განსაკუთრებით იგრძნობა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან შორს, პერიფერიულ დონეზე. **აუცილებელია სოფლებში მერის წარმომადგენლებთან მუშაობა და მათი კომპეტენციის და ინფორმირებულობის ამაღლება -** ერთი მხრივ, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიმართულებით და, მეორე მხრივ, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რათა მათ უკეთ შეძლონ სწორი ინფორმაციის გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში და, საჭიროებისას, მსხვერპლის დახმარება. მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლებში მერის წარმომადგენლებმა მხოლოდ ერთხელ გაიარეს ტრენინგები ფონდი „სოხუმის“ დახმარებით 2015 წელს. მას შემდეგ არ გადამზადებულან. სოფლის დონეზე ძლიერი თვითმმართველობა უფრო უკეთ ინფორმირებულ და, შესაბამისად, დაცულ ადგილობრივ მოსახლეობას ნიშნავს, რასაც აცნობიერებს ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი -

„თვითმმართველობის როლი უნდა გაძლიერდეს სოფლის ხელმძღვანელის დონეზე. უფრო სწორად, ამ დონიდან უნდა დაიწყოს. უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მერის წარმომადგენლებს სოფლებში. ისინი ფლობენ პირველად საჭირო ინფორმაციებს და ეს რესურსი თუ არ ამოქმედდა, იდენტიფიცირება დროულად სულ გაჭირდება. პოლიციამდე მივიდა ისეთი ადამიანი, რომელმაც ძალადობის ყველა ეტაპი უკვე გაიარა, მანამდე ეს ყველაფერი ხდებოდა სოფლის თვალწინ, ალბათ, რაზეც ყველა თვალს ხუჭავს“ (ბაღდათი, ფოკუს-ჯგუფი).

არაკომპეტენტურობა გადაჯაჭვულია მიმართვიანობის ნაკლებობასთან, რადგან ადგილობრივი მოხელეების მხრიდან **მეორადი ვიქტიმიზაციის საფრთხე,** ან, უკეთეს შემთხვევაში, უყურადღებობა და ინფორმაციის გაუვრცელებლობა, რასაკვირველია, ხელს არ შეუწყობს პატრიარქალური მენტალიტეტით და გენდერული სტერეოტიპებით გაჟღენთილ გარემოში მყოფ და დამძიმებულ მსხვერპლს, გაამჟღავნოს პრობლემა და ითხოვოს დახმარება მუნიციპალიტეტისგან. მაგალითად, ხონში არ დაფიქსირებულა თვითმმართველობის ორგანოებისთვის მიმართვის არც ერთი შემთხვევა. ეს ფოკუს-ჯგუფისას შემდეგნაირად აიხსნა -

„სოფლის ხელმძღვანელებს თვითონ არა აქვთ შესაბამისი განათლება, როგორ მოახდინონ რეაგირება ძალადობის დროს. რომ ჰკითხო, არასდროს არ ხდება კონფლიქტი მათ სოფელში, არასდროს ყოფილა ძალადობა. რა ჩემი საქმეა, ოჯახში რა ხდება. ეს ადამიანები არავის მოუმზადებია და არ იციან, ასეთ დროს რა ქნან. ამიტომაც არ გვაქვს მომართვიანობა“ (ხონი, ფოკუს-ჯგუფი).

რესპონდენტებმა სწორად აღნიშნეს, რომ უიმედობის ფონზე, **მსხვერპლის მიერ ინსტიტუტებისადმი ნდობის პრობლემაც არსებობს**. ეს ორი ფაქტორი, სამწუხაროდ, ერთმანეთს აძლიერებს -

„უნდობლობის ამბავიც არის. სახელმწიფოს როლია კითხვის ნიშნის ქვეშ ზოგადად. მსხვერპლს, პირველ რიგში, სახელმწიფოს იმედი არა აქვს და თვითმმართველობაზე აღარ ვსაუბრობ“ (ბაღდათი, ფოკუს-ჯგუფი).

კვლევის ფარგლებში, თითქმის ყველა შეხვედრისას, აღინიშნა **ტრენინგების, სასწავლო პროგრამების ნაკლებობა მუნიციპალიტეტის მოხელეებისთვის,** ითქვა, რომ საგანმანათლებლო რესურსები უმეტესად არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით არსებობს და ყველასთვის არაა ხელმისაწვდომი -

„რასაც აკეთებენ არასამთავრობოები, ამისთვის უდიდესი მადლობა. მაგრამ მარტო მათ იმედად ნუ ვიქნებით, ეს არის სახელმწიფო პასუხისმგებლობა. სახელმწიფომ უნდა იკისროს საჯარო მოხელეთა გადამზადება გენდერული კუთხით“ (ზუგდიდი, ფოკუს-ჯგუფი).

ამასთან, მონაწილეებმა თქვეს, რომ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს არ მოჰყვება ინტელექტუალური მხარდაჭერა, სწავლება, რაც მათში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს -

„სახელმწიფო ითხოვს გენდერულ ბიუჯეტს, ითხოვს კონკრეტულ პროგრამებს ძალადობის მსხვერპლის რეფერირებისთვის. ამ დროს პარადოქსია, მაგრამ იგივე სახელმწიფო არ კითხულობს, საიდან გაარკვიოს ამ ხალხმა, მისი ბიუჯეტი გენდერულია თუ არა. თუ შენ არ გისწავლებია, აბა დამისახელეთ რომელიმე ინსტიტუტი, სადაც ეს საკითხი ისწავლება“ (ზუგდიდი, ფოკუს-ჯგუფი).

ამავდროულად, მუნიციპალიტეტები ცდილობენ, ფეხი აუწყონ მოთხოვნებს, მაგალითად, ჰყავდეთ გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა ხშირ შემთხვევაში, ცოდნის ნაკლებობის ფონზე, ეს, სამწუხაროდ, მხოლოდ ფორმალობად იქცევა -

„ადამიანს, რომელსაც უზარმაზარი განყოფილება აბარია და შენ პლიუს უმატებ, გენდერზე პასუხისმგებელ პირს უწოდებ, მინიმუმ ერთი ტრენინგი მაინც უნდა ჰქონდეს გავლილი. ჩვენ გვაქვს პრეცედენტი, როცა გვყავდა გენდერზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც არ დაუყენებია არც ერთი ინიციატივა. ასეთ ადამიანს ვერ მოთხოვ, პროგრამებს შეხედოს გენდერულად და ამიტომ არც ჰქონია რაიმე ინიციატივა“ (ზუგდიდი, ფოკუს-ჯგუფი).

რესპონდენტებს შორის კონსენსუსი იყო **ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების მხრივ არსებულ გამოწვევებზე** მსჯელობისას. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მსხვერპლის მიერ მიმართვის შემთხვევა არ ყოფილა, რაც უმეტესად სწორად შეფასდა, როგორც არა ძალადობის არარსებობა, არამედ - საზოგადოებაში არსებული **სტერეოტიპების გავლენა** და მსხვერპლის მხარდაჭერის ნაკლებობა. რესპონდენტებმა, პრაქტიკულად, ცალსახად მიუთითეს, რომ **საჭიროა მოსახლეობასთან მუშაობა,** საგანმანათლებლო კამპანიების გააქტიურება, რათა საზოგადოებამ დაძლიოს სტიგმა და მსხვერპლის ნაცვლად მოძალადეს დაუპირისპირდეს, ძალადობა კი არ შეიწყნაროს -

„ვერ დავიჯერებ, რომ მსხვერპლი არ გვყავს, უბრალოდ ჯერ კიდევ დაბალია ცნობიერების დონე ამ საკითხებზე“ (ვანი, ფოკუს-ჯგუფი).

„მომართვიანობის არარსებობა სტერეოტიპებს უკავშირდება და მისი დამსხვრევა ასე მარტივი არ არის. ამას წლები სჭირდება. მეტი განათლება სჭირდება ხალხს ამ კუთხით“ (ლანჩხუთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

კვლევისას, ერთ შემთხვევაში გამოიკვეთა **მიმართვიანობის ნაკლებობის ალტერნატიული ახსნაც, რაც უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების არსებობის არაღიარებას და გაუცნობიერებლობას -**

„ჩვენ რაიონში პრობლემა ამ კუთხით არ არის. კულტურული რაიონი ვართ და არ გვაქვს ძალადობა ქალზე. თუ მოგვმართავენ, რეაგირების გარეშე არ დავტოვებთ“ (ლანჩხუთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

თუმცა, იმავე ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში, უმრავლესობამ ხაზი გაუსვა საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების და სტიგმის გავლენას მსხვერპლზე, რაც უბიძგებს მას პრობლემის დამალვისკენ -

„ცოტა შებოჭილია ქალი, არ უნდა თქმა და არ უნდა გამოსვლა და ცოტა სირცხვილადაც მიაჩნია ეს ყველაფერი. ალბათ უფრო მეტი მუშაობაა საჭირო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით“ (სამტრედია, ფოკუს-ჯგუფი).

მუნიციპალიტეტებისათვის საერთო და მწვავე პრობლემაა ფინანსური რესურსების სიმწირე. ეს პრობლემა ყველგან იჩენს თავს და ძალზე უარყოფითად მოქმედებს, მათ შორის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის საჭიროებაზე მორგებული მხარდაჭერის სერვისების არსებობასა და მასშტაბზე. მუნიციპალური პროგრამები, უმეტესად, ერთჯერადია და გრძელვადიან მხარდაჭერას ვერ უზრუნველყოფს. ეს შეუძლებელს ხდის, მაგალითად, მსხვერპლთა პროფესიული გადამზადების დაფინანსებას, დასაქმების პროგრამების განხორციელებას და ა.შ.. ფინანსების ნაკლებობა, ასევე ზღუდავს ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობას პრევენციის მიმართულებით და ართულებს ძალადობის აღმოსაფხვრელად ისეთი მნიშვნელოვანი მუნიციპალური პროგრამების დანერგვას, რომლებიც მოძალადის რეაბილიტაციისთვისაა საჭირო. აღნიშნული საკითხი ჯერჯერობით ნაკლებპრიორიტეტულად მიიჩნევა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთთვის -

„ამ კატეგორიის ადამიანებისთვის ნამდვილად არაფერი გვიდევს პროგრამაში, თუმცა ვთვლი, რომ ჯერ ცნობიერებაზე უნდა ვიმუშაოთ, რადგან სარეაბილიტაციო პროგრამაში რომ მოხვდეს მამაკაცი, მას ამის სურვილი უნდა გაუჩნდეს“ (ლანჩხუთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

მონიტორინგის პროცესში რესპონდენტებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ხშირად ყოველი თეთრი, გაზრდილი დაფინანსება დიდ ძალისხმევას და ლობირებას მოითხოვს. შეზღუდული რესურსები მთავარი დაბრკოლებაა თამამი და ინოვაციური პროექტების განხორციელებისათვის -

„სამწუხაროდ, არ არსებობს მსხვერპლის საჭიროებაზე ბოლომდე მორგებული სოციალური სერვისები. დროებით გამოყოფილი საცხოვრებელი სახლები და დროებითი თავშესაფრები ვერ უზრუნველყოფენ მათ საბოლოო რეაბილიტაციას... აქვთ დასაქმების პრობლემები, ვერ იხდიან კომუნალურ გადასახადებს, უჭირთ ელემენტარული საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების

მოგვარება... აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფსიქოლოგის კონსულტაცია, რაც საბოლოო ჯამში თავიდან აგვარიდებს მოძალადესთან მსხვერპლის დაბრუნების საშიშროებას“ (წყალტუბო, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

რესპონდენტთა აზრით, **ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დაკისრებული ვალდებულებები, ფინანსური რესურსებისგან განსხვავებით, დინამიურად იზრდება.** ამ პირობებში მათ აღარ შეუძლიათ ადეკვატური თანხის გამოყოფა ყველა პროგრამისთვის -

„არ შეიძლება თვითმმართველობას მისცე პასუხისმგებლობა და ბიუჯეტში არაფერი წაუმატო. სამწუხაროდ, ყველაფერს მივყავართ ფინანსებამდე. როგორც არ უნდა გაანაწილო, მცირე ბიუჯეტი მცირე თანხაა და ვერ ამყოფინებ ყველაფერს, მათ შორის ძალადობის პრობლემას“ (ლანჩხუთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

შეზღუდული რესურსები და კომპეტენციის სიმცირე, თავის მხრივ, უარყოფითად ზემოქმედებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევის, არსებული მდგომარეობისა და საჭიროების სრულად და ობიექტურად შესწავლის შესაძლებლობაზე. მონიტორინგის დროს არაერთხელ აღინიშნა, რომ თვითმმართველი ერთეულების ორგანოები არ ფლობენ სრულ ინფორმაციას პრობლემის სიმწვავის, მასშტაბების და კონკრეტული საჭიროებების შესახებ. ამ დანაკლისის შევსებას მათ პრაქტიკაში არსებულ შემთხვევებზე დაკვირვებით ცდილობენ, მაგრამ სრული სურათის აღსაქმელად ეს არასაკმარისია -

„სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გავაკეთებთ სერიოზულ კვლევებს, ამას კოლოსალური თანხები სჭირდება. ამიტომ გვინდა, რომ რაღაც ტიპის სტატისტიკა გვქონდეს და დავნერგეთ უკვე სიახლეები: ვითვლით შემოსულ წერილებს, ძირითადად, რა საკითხებზე მოგვმართავენ ქალები, რა ტიპის პრობლემები აწუხებთ და ასე შემდეგ“ (თერჯოლა, ფოკუს-ჯგუფი).

გამონაკლის შემთხვევებში, ეს არასამთავრობო სექტორის დახმარებით მიიღწევა, მაგალითად, ზუგდიდის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა გაიხსენეს ძალადობის მიმართულებით ჩატარებული კვლევა, ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობით. უმეტესობას კი საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თავის მუნიციპალიტეტში ოჯახში ძალადობის მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ. მუნიციპალიტეტების სამოქმედო არეალში არსებული მდგომარეობის და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის სიმწირე ხშირად იწვევს **პრიორიტეტების არასწორად განაწილებას, მოსახლეობის რეალურ საჭიროებაზე მორგებული პროგრამების არსებობას და მუნიციპალური ბიუჯეტის უფრო მიზანმიმართულად დაგეგმვის პრობლემას** -

„არ ვიცით, რა გვჭირდება უფრო მეტად. არ ვსწავლობთ საჭიროებებს. მაგალითად, ჩვენ გვაქვს ვეტერანების პროგრამა 100-ლარიანი დახმარება. 600 ადამიანია ასეთი და იცით, ვინ ღებულობს ამ დახმარებას? ის ადამიანები, რომლებიც 1700-ლარიან ხელფასზე არიან. 1700 ლარი რო აქვს ადამიანს და შენ დახმარებას 100 ლარს უმატებ, სად არის აქ რაციონალურობა? ეს თანხები თავისუფლად შეიძლება ძალადობის მსხვერპლთათვის გაიწეროს“ (ხონი, ფოკუს-ჯგუფი).

ასევე ყველა დაეთანხმა მოსაზრებას, რომ რეგიონებში ფაქტობრივად შეუძლებელია ფსიქოლოგიური დახმარების მიღება. რესურსების სწორად განაწილების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებს არ უნდა გაუჭირდეთ თავიანთ ტერიტორიაზე მოსახლეობისთვის ამ სერვისის შეთავაზება. ერთი ან ორი ფსიქოლოგის დაქირავება არ არის დაკავშირებული ისეთ ხარჯთან, რომელსაც თვითმმართველი ერთეული ვერ გასწვდება. ამდენად, ეს მონდომებასა და პრიორიტეტების დალაგებაზე უფროა დამოკიდებული -

„სამწუხაროდ, არ გვყავს ფსიქოლოგი, თუმცა ნამდვილად არის ამის საჭიროება, თუნდაც ერთი ფსიქოლოგი მუნიციპალიტეტში ბევრ საქმეს გააკეთებს“ (თერჯოლა, ფოკუს-ჯგუფი).

გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტებისთვის გენდერული ძალადობის საკითხის ნაკლებპრიორიტეტულობის გამო, მასთან ბრძოლაზე ორიენტირებული მოქმედებები არ არის გამოყოფილი როგორც ცალკე პროგრამა, არამედ წარმოადგენს რომელიმე პროგრამის მცირე ნაწილს, რაც ქმნის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხის ჩაკარგვას, მის არაპრიორიტეტულობას და თვითმმართველობის მხრიდან აღნიშნულ საკითხზე საჭირო ხარისხით ფოკუსირების პრობლემას -

„პატარაა ჩვენი ბიუჯეტი და სულ ასეთი მიდგომა გვექნება... [ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხი] რომელიმე პროგრამაში უნდა ჩავშალოთ და იქ უნდა დავამატოთ... საბოლოოდ ასეთი ჩანაწერები სულ ჩაკარგულია“ (ბაღდათი, ფოკუს-ჯგუფი).

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით, **საჭიროა ძალადობის პრობლემა არ იყოს მიერთებული რომელიმე პროგრამაზე.** აღნიშნული საკითხისთვის პროგრამა და ფინანსები კონკრეტულად უნდა გაიწეროს.

კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს იმაზე, რომ **საჭიროა გენდერული თანასწორობის საბჭოს მეტი ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვა-დამტკიცებისას,** რათა გენდერული პრობლემები აისახოს დოკუმენტში. არსებული პროგრამების კორექტირება, გენდერული პერსპექტივით, საბჭოზე უკეთ არ შეუძლია საფინანსო ან სხვა კომისიას, შესაბამისად, მუნიციპალურმა ორგანოებმა მეტი ანგარიში უნდა გაუწიონ საბჭოს და გაითვალისწინონ მისი შეფასებები -

„საბჭომ მისი ეგიდით მაინც უნდა განიხილოს ბიუჯეტი, რათა გენდერულად დაბალანსებული პროგრამები მივიღოთ“ (ბაღდათი, ფოკუს-ჯგუფი).

გამოწვევები არსებობს გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობაშიც. ეს შედარებით ახალი ინსტიტუტია და, როგორც რესპონდენტებმა თქვეს, თანდათან ეჩვევიან ამ მექანიზმის გამოყენებას პრაქტიკაში. საბჭო ყველა თვითმმართველ ერთეულში ერთნაირად ძლიერი არ არის. მუნიციპალიტეტებში განხორციელებული კარგი გენდერული ინიციატივები, როგორც წესი, საბჭოს საქმიანობის შედეგია, თუმცა რესპონდენტებმა რამდენიმე გამოწვევა გამოკვეთეს, მათ შორის: საბჭოს მხოლოდ ფორმალურად, საჩვენებლად არსებობა; შეკრების იშვიათობა; დასწრების, ქვორუმის შედგენის პრობლემა; ზედმეტი წევრები; სუსტი მოტივაცია და ა.შ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით -

„რამდენიც არ უნდა გავალამაზოთ დღეს საბჭოს მუშაობა, არ გამოვა. ვთქვათ ღიად და გახსნილად. სამწუხაროდ, ჯერ სამუშაო რეჟიმზე საბჭო არ გადასულა. იმიტომ რომ ერთხელ ძლივს შევიკრიბეთ, ისიც ფონდი „სოხუმის“ ძალისხმევით და, როგორც იქნა, სამოქმედო გეგმა დავამტკიცეთ. მაგრამ ეს არ არის ეფექტიანი მუშაობა“ (ზუგდიდი, ფოკუს-ჯგუფი).

ასევე პოლიტიკურად არასტაბილური გარემო უარყოფითად მოქმედებს საბჭოზე -

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში განსაკუთრებული პოლიტიკური ტემპერატურაა, დამეთანხმებით, მერის ცვლილება, მერე არჩევნები, ეს ყველაფერი აისახება ჩვენ საქმიანობაზე და ამანაც ხელი შეგვიშალა“ (ზუგდიდი, ფოკუს-ჯგუფი).

ხონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დღემდე **არ აქვს სამოქმედო გეგმა.** პრობლემას ქმნის საბჭოში **ბევრი წევრის არსებობაც** (18-ია). რესპონდენტთა აზრით, უმჯობესი იქნებოდა წევრთა შემცირება და გენდერული საკითხებით უფრო დაინტერესებული პირების შერჩევა. მაგალითად, ოზურგეთში, გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს სრული შემადგენლობის შეკრება პრობლემაა. სამ თვეში ერთხელაც კი ჭირს ქვორუმის მიღწევა, განსაკუთრებით აღინიშნა საბჭოს მამაკაცი წევრების მხრიდან ნაკლები დაინტერესება და მოტივიცია -

„თუ შენ საბჭოს წევრი ხარ და პატივს არ სცემ ამ ორგანოს, მაშინ სხვა გარეშე პირმა რატომ უნდა გცეს პატივი. ქვორუმი არ დგება ბოლო შეხვედრებზე, მამაკაცებს არასდროს არ სცალიათ. ეს არასერიოზული აღქმაა“ (ოზურგეთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

საბჭოს მუშაობის ეფექტიანობას ამცირებს **იშვიათი შეკრებებიც** -

„ყველაფერი ატარებს ფორმალურ ხასიათს. არაა ის რეალური აქტივობა, როგორიც უნდა იყოს. ჩვენ თვითონ არ მოგვწონს ეს ყველაფერი და აუცილებლად უნდა შევცვალოთ რამე... სამ თვეში ერთხელ რა საკითხები უნდა განიხილო?! ყველაფერი ელვისებურად იცვლება. თვეში ერთხელ მაინც უნდა შევიკრიბოთ. საბჭო უნდა იყოს ცოცხალი და ეს უნდა იგრძნობოდეს“ (ხონი, ფოკუს-ჯგუფი).

რესპონდენტები ნაკლებად იცნობენ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (და დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმას, უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტებისთვის. ზოგს ჯერ კიდევ **არ აქვს გენდერული პოლიტიკის დოკუმენტები, მათ შორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგია** ან/და **გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა**.

ხშირად პრობლემას წარმოადგენს **სერვისების ხელმისაწვდომობისათვის ბიუროკრატიული ბარიერების არსებობაც**. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს სრული დისკრეცია, იყოს მოქნილი მუნიციპალური პროგრამის შემუშავებისას და საკუთარი პროგრამები მოარგოს ბენეფიციარების საჭიროებას, ან მოახდინოს მათ მიერვე დადგენილი კრიტერიუმების მოდიფიცირება, საჭიროებიდან გამომდინარე, დღეს კვლავ გამოწვევად რჩება პოტენციური ბენეფიციარებისთვის სერვისებისადმი

ხელმისაწვდომობა **კრიტერიუმებისთვის მორგების შეუძლებლობის გამო**. პრობლემის სერიოზულობას ადასტურებს ისიც, რომ მწირი დაფინანსების პირობებშიც კი რჩება აუთვისებელი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები, რადგან დახმარების მთხოვნელმა კრიტერიუმი ვერ დააკმაყოფილა. შესაძლოა ითქვას, რომ გარკვეულწილად **კრიტერიუმები დაბრკოლებადაა ქცეული** თავად მუნიციპალიტეტისთვის, მიაწოდოს ბენეფიციარს სერვისი და გახარჯოს ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები. ასეთი მდგომარეობა იმედგაცრუებას იწვევს მსხვერპლში/ან პოტენციურ მსხვერპლში, რაც ბუნებრივად ნეგატიურად აისახება მიმართვიანობის რაოდენობაზე -

„მაგალითად, ძალადობის მსხვერპლი, რომელსაც აქვს თავისი სახლ-კარი, არ უნდა ცხოვრება თავშესაფარში, მაგრამ საჭიროებს დახმარებას. ჩვენ გვაქვს შეზღუდვა ამ კუთხით და ვერ ვეხმარებით, ჩვენი პროგრამა მხოლოდ ისეთ მსხვერპლზეა მორგებული, რომელიც თავშესაფრიდან გამოვიდა. პრობლემა ისაა, რომ რეალურ დახმარებას მსხვერპლი ვერ იღებს, ვინაიდან შეზღუდვებია პროგრამაში. ვფიქრობ, რომ ეს კრიტერიუმები გადასახედია. როდესაც ვერ აღმოვუჩენთ რეალურ დახმარებას მსხვერპლს, მერე უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს პროგრამა და მომართვიანობა არ არის. ვინაიდან მომართვიანობა არ არის, არც ინერგება პროგრამა, რომელიც რეალურ დახმარებას აღმოუჩენს მსხვერპლს“ (ქუთაისი, ფოკუს-ჯგუფი).

მუნიციპალიტეტები მხოლოდ იურიდიული მისამართის მიხედვით, **მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მსხვერპლს ეხმარებიან,** ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი უგულებელყოფილია. შესაბამისად, დაინტერესებული პირები ვერ იღებენ დახმარებას იქ, სადაც რეალურად ცხოვრობენ, რეგისტრაციის ადგილის შეცვლა კი დამატებით ძალისხმევასთანაა დაკავშირებული და ხშირად რთულია მათთვის. ასევე უმეტესად **დახმარების მისაღებად აუცილებელი კრიტერიუმია მსხვერპლის სტატუსის ქონა -**

„ჩვენ მხოლოდ ჩვენს მუნიციპალიტეტში ჩაწერილ მოქალაქეებს ვემსახურებით. შეიძლება პროგრამა გვზღუდავდეს კიდეც, იმიტომ რომ, თუ ჩაწერ მსხვერპლს, უნდა დააკონკრეტო, რომ მას უნდა ჰქონდეს სტატუსი. სტატუსი ბევრს არა აქვს და ეს კატეგორია რჩება ისე, დახმარების გარეშე“ (თერჯოლა, ფოკუს-ჯგუფი).

თუმცა არსებობს გამონაკლისი მუნიციპალიტეტებიც, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალურად მოერგონ ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებას და არ ავიწროებენ ბენეფიციართა წრეს. მაგალითად, ლანჩხუთში ძალადობის მსხვერპლს ეხმარებიან შემაკავებელი ორდერის არარსებობის მიუხედავად. მას შეუძლია წარადგინოს ორი მოწმე, მაგალითად, მეზობელი, ნათესავი ან სოფლის სხვა წარმომადგენელი ოჯახში ძალადობის დასადასტურებლად. მოქნილი მიდგომა აქვს ზუგდიდსაც -

„ვსწავლობთ შემოსულ განცხადებებს. ვისაც ვერ დავეხმარეთ, ანალიზს ვაკეთებთ, თუ ბევრია განცხადება და ვერ იღებს ბენეფიციარი რომელიმე პროგრამასთან დაკავშირებით, ვცვლით კრიტერიუმებს და ამ ინფორმაციებსაც იგივე გზით ვავრცელებთ“ (ზუგდიდი, ფოკუს-ჯგუფი).

საგულისხმოა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, თავისი უფლებების, ასევე

მსხვერპლის მხარდამჭერი სერვისების, პროგრამების შესახებ, რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობა შეუძლია. რესპონდენტების უმრავლესობა აცნობიერებდა და ადასტურებდა, რომ **საზოგადოების ინფორმირება ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება** და ართულებს არა მხოლოდ მსხვერპლის დახმარებას, არამედ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლას და პრევენციას. ინფორმაციის გავრცელება ოჯახში ძალადობის და მასთან ბრძოლის შესახებ, აუცილებელია, რათა პრობლემა გასცდეს ვიწრო წრეს და მსხვერპლმა საზოგადოებისგან მხარდაჭერა მიიღოს. თუ არსებული მენტალიტეტი მოსახლეობის პრობლემაა, მის შეცვლაზე ზრუნვა და ცოდნის გავრცელების ხელშეწყობა სახელმწიფოს, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ვალია -

„მოსახლეობის ინფორმირება თუ არ მოხდა, ეს ხალხი ისევ იმ დონეზე დარჩება და ისევ იტყვის, რომ ძალადობა მისი ოჯახის საქმეა. ამიტომ არ არის მომართვიანობა, ამიტომ არ გვყავს მსხვერპლი“ (ხონი, ფოკუს-ჯგუფი).

მონიტორინგის მონაწილეები თანხმდებოდნენ, რომ მოსახლეობაში ინფორმაციის არარსებობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მიმართვიანობის არარსებობის ან ნაკლებობის ძირითადი მიზეზია. პარადოქსია, რომ თვითმმართველობის წარმომადგენელთა ნაწილმა გულწრფელად აღიარა, რომ მიმართვიანობის ნაკლებობა ერთგვარი ნუგეშიც კია, რადგან **მსურველთა რიცხვი რომ გაიზარდოს, დასახმარებლად რესურსები არ ეყოფათ -**

„გულში რომ ჩავიხედოთ, ჩვენ ისიც არ გვაწყობს, ძალიან ბევრი მსხვერპლი მოვიდეს, იმიტომ რომ არც ისე ბევრი რესურსი გვაქვს. მსხვერპლმა თუ ზუსტად არ იცის, რომ არსებობს მისთვის დახმარება, ის არ მოვა, ან მომცემენ დახმარებას, ან არა, ამაზე არავინ არ წამოვა“ (ბაღდათი, ფოკუს-ჯგუფი).

კვლევამ აჩვენა, რომ **მუნიციპალიტეტები ინფორმაციას უმეტესად ინტერნეტით ავრცელებენ.** სიახლეების, პროგრამების შესახებ ახალი ამბები მათ ვებგვერდზე იდება და სოციალური მედიით ზიარდება. ეს მაშინ, როცა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ინტერნეტი ხელმიუწვდომელია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მუნიციპალიტეტის მიერ გამოქვეყნებული სიახლეების ბენეფიციარამდე მიღწევის შანსს -

„ჩვენი ყველა პროგრამა არის ვებგვერდზე და მერის წარმომადგენლები სისტემატურად მათ თემებში ავრცელებენ. პერიოდულად გვაქვს ანგარიშები მოსახლეობასთან. ესეც ინფორმაციის გაცვლის წყაროა“ (თერჯოლა, ფოკუს-ჯგუფი).

მერის წარმომადგენელი სოფელში კარგი წყარო შეიძლება იყოს, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მათ შემთხვევაში, ხშირად გენდერული ცოდნისა და კვალიფიკაციის სერიოზული პრობლემა არსებობს. მაგალითად, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ -

„ყველა სოფელს მისი წარმომადგენელი ჰყავს და მისი მეშვეობით ინფორმაცია ნებისმიერ წერტილამდე აღწევს“ (ლანჩხუთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

თუმცა, საკუთარ თავს შეეწინააღმდეგა და იმავდროულად აღნიშნა, რომ -

„მომართვიანობა არის მცირე, რაც მოსახლეობის არაინფორმირებულობის ბრალია“ (ლანჩხუთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

შედარებით ნაკლებად გავრცელებულია **მოსახლეობამდე ინფორმაციის მიტანა გაზეთის, რეგიონული ტელევიზიის, რადიოს ან/და საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში საინფორმაციო დაფების მეშვეობით**. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი მეტ-ნაკლები სიხშირით **ხვდებიან მოსახლეობას** და ელაპარაკებიან მუნიციპალიტეტის გეგმებისა და პროგრამების შესახებ. თუმცა, ფაქტია, რომ ზემოაღნიშნული ძალისხმევა საკმარისი არ არის. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ადმინისტრაციულ ცენტრებს დაშორებულ სოფლებში -

„გასულ წელს ფონდმა „სოხუმმა“ ხურჩაში მიგვიწვია. ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე უნდა გვესაუბრა, დღემდე მახსოვს ამ ადამიანების დაინტერესებული სახეები. საერთოდ არაფერი იცოდნენ ამ პროგრამებზე. საუბრობდნენ პრობლემებზე, მაგალითად, სანიაღვრე არხების არარსებობაზე და როცა მათ მივაწოდე ინფორმაცია, რომ ბიუჯეტში უკვე დევს თანხა ამ პრობლემის გადასაჭრელად, რა თქმა უნდა, საოცარი რეაქცია ჰქონდათ. ეს ჩვენი ხარვეზია. არიან ადამიანები, რომლებიც არც ინტერნეტს კითხულობენ, არც ბუკლეტებს, მაგრამ შენგან მოსმენილს კარგად იმახსოვრებენ“ (ზუგდიდი, ფოკუს-ჯგუფი).

მუნიციპალიტეტები ცდილობენ, მოსახლეობას ხმა მიაწვდინონ სხვა საშუალებებითაც, მაგალითად: საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის წარმომადგენელების, საბავშვო ბაღების, პოლიციის დახმარებით -

„ჩავაყენეთ საქმის კურსში ადგილობრივი პოლიცია, რომ გვაქვს პროგრამა და შეუძლიათ გადმოამისამართონ მსხვერპლი. მნიშვნელოვანია მერის წარმომადგენლების კომპეტენციის ამაღლება, რათა სწორად მოახდინონ შემთხვევის დროს გადამისამართება. მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღის პედაგოგების გადამზადებაც“ (ვანი, ფოკუს-ჯგუფი).

თავი VI.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა ურთიერთთანამშრომლობა, კოორდინაცია ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეფერირების მექანიზმის სუბიექტებთან

თვითმმართველ ერთეულში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი რგოლები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და ბევრ უფლებამოსილებას ერთობლივად ახორციელებენ. ამდენად, მათ შორის ჰარმონიული თანამშრომლობა აუცილებელია მუნიციპალური ორგანოების შეუფერხებლად მუშაობისთვის. საკრებულო და მერია, რასაკვირველია, პოლიტიკური ორგანოებია და ეს ფაქტორიც გასათვალისწინებელია. ამ მხრივ, კვლევამ სხვადასხვა გამოცდილება გამოვლინა. მაგალითად, ქუთაისის ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს, რომ **გენდერული თანასწორობის საბჭო ერთ-ერთი ის ადგილია, სადაც კარგად თანამშრომლობენ რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების ადამიანები.**

ასევე ითქვა, რომ 2019 წლის ბიუჯეტში გენდერული საბჭოს რეკომენდაციები აისახა, რასაც სხვადასხვა მუნიციპალურ სამსახურთან ხანგრძლივი მუშაობა უძღოდა წინ. ქუთაისის გენდერულმა საბჭომ იმუშავა მერიასა და ბაღების სააგენტოსთან და შეძლო ზაფხულში მესამე მორიგე ბაღის დამატება. საბჭოს ინიციატივითვე, არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით, საკრებულოსა და მერიაში შინაგანაწესში აისახა სექსუალური შევიწროების შესახებ ახალი რეგულაციები. წარმატებული თანამშრომლობის შედეგმა კარგი სამსახური გაუწია ადგილობრივ ქალებს.

საბჭოს და მერს/საკრებულოს შორის ჯანსაღ ურთიერთობაზე ისაუბრეს ბაღდათის ფოკუს-ჯგუფის ფარგლებშიც.

სამწუხაროდ, განსხვავებული გამოცდილებაც არსებობს. გენდერული თანასწორობის საბჭო ოზურგეთში ზოგჯერ მერიასა და საკრებულოს შორის დაპირისპირების ასპარეზად იქცევა, რაც აზიანებს და ამცირებს სასარგებლო იდეების განხორციელების შანსს -

> ***„ცუდი არაა, მაგრამ არც იდეალურია ჩვენი ურთიერთობა. არ გვაქვს საშუალება, საბჭოს იდეებს ფრთები შევასხათ, იმიტომ რომ ვიცით, ამ ფრთებს მერიიდან ვიღაც შეგვაჭრის. ამიტომ, როცა საბჭოები შეიქმნა, სასურველი იყო, მას მეტი მოქნილი სტრუქტურა ჰქონოდა, თანაბრად ჰქონოდათ უფლებამოსილება აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ხელისუფლებას. ისინი უფრო მეტად იქნებოდნენ მზად თანამშრომლობისთვის. ახლა ისე გამოდის, რომ შიშველი ხელებით გიწევს ბრძოლა იმისთვის, რომ დაამტკიცო, რომ საბჭოს იდეა ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებელია მისი ინტეგრირება ბიუჯეტში. მერიას ჰგონია, რომ საბჭო საკრებულოშია და ზედმეტს ვითხოვთ. მაგალითად, წელს მოვახერხეთ ბიუჯეტში წარგვედგინა პროექტი - ქალები საკუთარი უფლებების დასაცავად. წარვუდგინეთ მერიას, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დამტკიცება არ მოხდა და ვერც ვერაფერი მოვახერხეთ. გამოდის, რომ ჩვენ უნდა ვიცადოთ, მერია რას მოიფიქრებს, რომ ჩვენი იდეები მათ მოვარგოთ. ეს ყველაფერი ძალიან ასუსტებს საბჭოს უფლებამოსილებას და არაეფექტიანს ხდის მის მუშაობას“ (ოზურგეთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).***

კვლევის მონაწილეთა ნაწილის თქმით, სასურველია, მუნიციპალურმა ორგანოებმა **ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას მეტად გაითვალისწინონ გენდერული თანასწორობის საბჭოს მოსაზრებები** და პატივი სცენ მის კომპეტენციას გენდერული

თანასწორობის სფეროში. მათი აზრით, შემუშავებული პროგრამების კორექტირება გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებით საბჭოს უკეთ შეუძლია, ვიდრე საკრებულოს საფინანსო ან სხვა კომისიას. ამდენად, ამ მხრივ საბჭოს უგულებელყოფა მის დაკნინებად მიაჩნიათ -

„სოციალური პროგრამები საკრებულოს არაერთ კომისიას გაივლის და შეიძლება საბჭოს გვერდი აუაროს. ეს უკვე ნიშნავს, რომ შენ არ ცნობ ამ ორგანოს ლეგიტიმაციას. არადა თანამშრომლობა დემოკრატიულ პრინციპებს დაამკვიდრებს შიდა რგოლებში. წარმომადგენლობით და აღმასრულებელ დონეზე ბევრ რამეს სასიკეთოდ შეცვლის“ (ხონი, ფოკუს-ჯგუფი).

რესპონდენტების ნაწილის აზრით, საჭიროა თვით საბჭოში, წევრებს შორის ფუნქციების განაწილება. ეს მის საქმიანობას უფრო პროდუქტიულად აქცევდა -

„უნდა გაიწეროს, ვინ რაზე აგებს პასუხს“
(ზუგდიდი, ფოკუს-ჯგუფი).

მუნიციპალურ ორგანოებს აკლიათ კომპეტენცია, მატერიალური რესურსი, რათა დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ პრობლემას. ამდენად, **ცენტრალურ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობა,** ამ უკანასკნელისგან რჩევების, რეკომენდაციების, ინტელექტუალური და ფინანსური მხარდაჭერის მიღება მეტად საჭიროა თვითმმართველი ერთეულებისთვის. ამასთან, ადგილობრივ დონეზე არსებული თვითმმართველობის ორგანოები მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი და ახლობელია, ვიდრე ცენტრალური სახელისუფლებო ინსტიტუტები. შესაბამისად, გამართული კოორდინაცია მათ შორის აუცილებელია იმისთვისაც, რომ სახელმწიფო პოლიტიკისა და განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაცია ადგილებზე გავრცელდეს.

კვლევის მონაწილეებმა გულდაწყვეტით აღნიშნეს, რომ ურთიერთობა, **თანამშრომლობა ცენტრალურ ორგანოებთან ხშირად ზოგადი, ზერელე და ფორმალური ხასიათისაა** -

„უწყებათაშორის კომისიასთან ვთანამშრომლობთ, მაგრამ არც ისე ხშირად. რაც დრო გადის, სულ უფრო ნაკლებად ვართ კვეთაში. სულ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ყველაფერი ანგარიშისთვის სჭირდებათ და მხოლოდ ამ პერიოდში ცოცხლდება კომუნიკაცია“ (ბაღდათი, ფოკუს-ჯგუფი).

„სახალხო დამცველის აპარატიდან და სხვა სამთავრობო ორგანიზაციებიდან გვაქვს ინფორმაციის გამოთხოვის წერილები და იგზავნება ინფორმაციები. უწყებათაშორის კომისიასთან თანამშრომლობის პრაქტიკა არ ჰქონია მუნიციპალიტეტს ამ მიმართულებით“ (სენაკი, ფოკუს-ჯგუფი).

ეს პრობლემა ზუსტად გამოხატა ოზურგეთში ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტმა:

„არ არის აქტიური თანამშრომლობა ხელისუფლების მხრიდან. ჩვენი თანამშრომლობა სახელწიფო სტრუქტურებთან არის მხოლოდ და მხოლოდ რაიმე ტიპის სტატისტიკის მოძიება და მათ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ამ ყვე-

ლაფერს აქვს ძალიან ფორმალური ხასიათი და, სიმართლე გითხრათ, ისიც არ მჯერა, სადმე რომ იყენებენ ამ ინფორმაციებს. თანამშრომლობას ვერ დავარქმევ იმას, რომ წელიწადში ორჯერ ან სამჯერ რაღაც სტანდარტულ შეკითხვებს აგზავნიან ყველა მუნიციპალიტეტში და ასე კრიბავენ ძალიან ზოგად და არაფრისმთქმელ ინფორმაციებს. ეს არ არის თანამშრომლობა" (ოზურგეთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, მაშინაც კი, **როცა მათგან აზრის გაზიარებას და რეკომენდაციების წარდგენას ითხოვენ**, შთაბეჭდილება რჩებათ, რომ **ეს მხოლოდ ფორმალობაა**, რადგან მოცულობითი დოკუმენტის გასაცნობად და სიახლეების შესახებ აზრის ჩამოსაყალიბებლად არაადეკვატურ დროს აძლევენ -

„მხოლოდ ორ-სამ დღეს ან ხანდახან ერთ დღეს გვაძლევენ და ეს არ არის საკმარისი. ხანდახან დოკუმენტები არის 30-40-გვერდიანი და ფიზიკურად შეუძლებელია მათი გულდასმით გადახედვა ამ მცირე დროში" (ვანი, ფოკუს-ჯგუფი).

იგივე ითქვა **რეგიონულ დონეზე არსებულ ურთიერთობებზე**. მაგალითად, ხონის ფოკუს-ჯგუფის მონაწილემ გაიხსენა, რომ სახელმწიფო რწმუნებულისგან გამოგზავნილ მოცულობით დოკუმენტზე რეკომენდაციის წარდგენა მეორე დღესვე მოითხოვეს, რაც შეუძლებელი იყო. შესაბამისად, ამგვარი თანამშრომლობა წმინდა წყლის ფორმალობად მიაჩნია -

„უნდა გვქონდეს შეხვედრები, განხილვები, ამას მოაქვს რეკომენდაცია და ეს არის, ჩემი აზრით, თანამშრომლობა. თანამშრომლობა ასე მესმის მე" (ხონი, ფოკუს-ჯგუფი).

კარგ მაგალითად, ოზურგეთის შემთხვევაში, რესპონდენტმა ახსენა ადგილობრივ გენდერულ საბჭოსა და პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს შორის სასარგებლო და აქტიური თანამშრომლობა, რომლისგანაც იღებენ ინფორმაციას სიახლეების შესახებ, მსჯელობენ სამომავლო პროექტების განხორციელებაზე. ასევე დაამატა, რომ ასეთი ურთიერთობა, სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისია.

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს არ აქვთ განცდა, რომ პროცესის რეალური თანამონაწილენი არიან. უნდა აღინიშნოს, რომ ინიციატივის გამოჩენას ისინი ცენტრალური ორგანოებისგან ელიან. თავად ხშირად ლოდინს არჩევენ. ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებას ურჩევნიათ გზავნილი მიიღონ მათგან კონკრეტული ამბითა და შესაბამისი ინსტრუქციით -

„თუ არ გამოაგზავნეს, ესე იგი არ ყოფილა საჭირო. რატომ უნდა ვეძებო მე სადღაც პარლამენტის გვერდზე, არიქა, რამე ხომ არ მევალება, რამე ვალდებულება და ფუნქცია ხომ არ მაკისრია" (ზუგდიდი, ფოკუს-ჯგუფი).

ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები პარლამენტთან არსებულ გენდერულ საბჭოსთან თანამშრომლობაზე საუბრობენ, რასაც ვერ იტყვიან უწყებათაშორის კომისიაზე. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობის ცალკეული მაგალითები არსებობს, ის უფრო ფორმალური ხასიათისაა. ეს განსაკუთრებით ეხება სახელმწი-

ფო რწმუნებულის ადმინისტრაციებს, რომლებთანაც გენდერულ საკითხებზე კომუნიკაცია მხოლოდ ონლაინრეჟიმში ელექტრონული კომუნიკაციით შემოიფარგლება.

ლანჩხუთში, ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტმა თქვა, რომ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან უმსჯელია მუნიციპალიტეტის რესურსების სიმწირეზე, თუმცა მათგან პრობლემის აღიარების მიუხედავად, მხარდაჭერას ვერ იღებდა. მისი თქმით, თანამშრომლობა არ შეიძლება ეწოდოს ცალმხრივად რეკომენდაციების გაცემას.

რაც შეეხება ცენტრალური ხელისუფლებისგან წამოსულ რეკომენდაციებს და მოთხოვნებს, რესპონდენტებმა თქვეს, რომ ხშირად **მათგან ზედმეტს ითხოვენ.** აგრეთვე მოთხოვნებამდე არავინ ეკითხებათ, აქვთ თუ არა შესასრულებლად საჭირო რესურსები. ისინი განიცდიან **მეთოდოლოგიური დახმარების სიმწირეს** და მიაჩნიათ, რომ პროცესი არის ცალმხრივი, მათი შესაძლებლობები, შეხედულებები იგნორირებულია. კვლევის ზოგიერთი მონაწილე უკმაყოფილოა იმით, რომ არ არის ჩართული ზედა დონეზე მიმდინარე პროცესებში, გადაწყვეტილებები მიიღება რამდენიმე ადამიანის მიერ ერთპიროვნულად და ადგილობრივ მოხელეებს არ აქვთ თანამონაწილეობის განცდა -

„თანამშრომლობა მე ასე მესმის, გეგმის შედგენაში ყველა უნდა იყოს ჩართული. ჩემს მაგივრად ზევით რომ დაამტკიცე, იკითხე, იქნებ არ ვარ მზად ამის შესასრულებლად“ (ოზურგეთი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

„სახელმწიფოს მხრიდან სათანადო დონეზე არ ხდება კონსულტირება, რაც ძალიან გვაკლია. მთელი წელი არაფერს გასწავლიან და წლის ბოლოს ითხოვენ უამრავ ინფორმაციას. თითქოს იწერება კიდეც მათ მიერ რეკომენდაციები, მაგრამ ძალიან ზოგადია და კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს კონკრეტულმა მუნიციპალიტეტმა, ეს არ ჩანს. ინფორმაციის გაცვლა ისევ ცალმხრივი გამოდის და ეს რეჟიმი თანამშრომლობის ფორმატს არ შეესაბამება“ (ხონი, ფოკუს-ჯგუფი).

„ბევრს ითხოვენ ჩვენგან, სულ ახალი შედეგები უნდათ“ (ზუგდიდი, ფოკუს-ჯგუფი).

საინტერესო გამოცდილებაზე ისაუბრეს ქუთაისის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა: მერის მოადგილის ინიციატივით გენდერულმა საბჭომ პარლამენტში წარსადგენად შეიმუშავა რეკომენდაციათა პაკეტი მარტოხელა დედების პროგრამასთან დაკავშირებით. მასში დამუშავდა პრობლემური საკითხები, რომლებსაც აწყდება მუნიციპალიტეტი პრაქტიკაში, კერძოდ: ბევრი ნამდვილად მარტოხელა დედა რჩება პროგრამის მიღმა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ბავშვის დაბადების მოწმობაში მითითებულია მამის სახელი და გვარი. გენდერული საბჭოს სახელით პარლამენტში წარდგენილი რეკომენდაციები განიხილეს საკომიტეტო მოსმენაზე. მსგავსი საქციელი მისასალმებელია და უნდა წახალისდეს.

არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გამოცდილება შედეგიანად და სასარგებლოდ შეაფასეს რესპონდენტებმა. განსაკუთრებით აღინიშნა **ფონდი „სოხუმის“ წვლილი -**

„ჩვენი წარმომადგენლები მერიიდან და საკრებულოდან ყოველწლიურად მონაწილეობენ ფონდი „სოხუმის“ ტრენინგზე. ეს არის საუკეთესო საშუალება და შესაძლებლობა იმისათვის, რომ შემდეგ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა პრაქტიკულად განსაზღვროს, რა მიმართულებით წავიდეს, რა შეიძლება დაიგეგმოს პროგრამებში გენდერული კუთხით“ (ხონი, ფოკუს-ჯგუფი).

ფონდ „სოხუმთან“ ერთად ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა 48 სოფელში ჩაატარა კვლევა ოჯახში ძალადობის თემაზე და გადაამზადა სოფლის რწმუნებულები -

„ეს იყო ძალიან ეფექტიანი მუშაობა, რაც გაკეთდა ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

ფონდმა „სოხუმმა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარეს ერთობლივი შეხვედრა საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებთან და გამოკვეთეს მათ წინაშე არსებული გამოწვევები. ლანჩხუთში, ასევე ფონდი „სოხუმის“ დახმარებით, ზრუნავენ ექიმების გადამზადებაზე.

თუმცა ნაწილმა გენდერული საბჭოს წევრი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მიმართ კრიტიკული შენიშვნაც გამოთქვა -

„ჩვენ როცა ვაკომპლექტებდით საბჭოს, ასე წარმოგვედგინა, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ ოჯახში ძალადობის მიმართულებით უზარმაზარი გამოცდილება, ჩვენთვის იქნებოდნენ როგორც „მატორი“, რომელიც დაძრავდა საერთოდ მთელი საბჭოს მუშაობას. პირიქით, უნდა ვთქვა, რომ არასამთავრობოებმა მეთვალყურის პოზიცია დაიკავეს და მათგან არანაირი ინიციატივა, წინადადება არ წამოვიდა, რატომღაც კრიტიკულად უდგებიან ყველაფერს და ამან ცოტა დაამუხრუჭა პროცესი. ვერ შევიკარით, როგორც იტყვიან“ (ზუგდიდი, ფოკუს-ჯგუფი).

რაც შეეხება **ურთიერთობას რეფერირების მექანიზმის სხვა სუბიექტებთან:** კვლევის მონაწილეებმა თქვეს, რომ მეტ-ნაკლები წარმატებით თანამშრომლობენ მათთან. მათ გაიხსენეს მაგალითები, როცა მსხვერპლი მუნიციპალიტეტს დაუკავშირდა პოლიციის რეკომენდაციით. ასევე სოციალურ სამსახურთან, სკოლასთან, საბავშვო ბაღთან, სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ფაქტები. მათგან პოლიცია ყველაზე ძლიერ რგოლად შეფასდა, სამედიცინო დაწესებულებები - შედარებით სუსტად -

„პოლიცია და სოციალური სამსახური პირდაპირ ამისამართებს ჩვენთან პროგრამების სარგებლობისათვის ბენეფიციარებს. ჩვენ ვუგზავნით ყოველწლიურად ჩვენს პროგრამებზე ინფორმაციას განათლების წარმომადგენლებს, პოლიციას, სოციალურს, დევნილთა სამსახურებს და ა.შ.“ (ზუგდიდი, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

„სოფლის ექიმებთან კარგად ვთანამშრომლობთ, გვქონია შემთხვევა, როდესაც მათ გადმოუმისამართებიათ მერის წარმომადგენლებთან სოფლებში ერთჯერადი დახმარებისთვის ადამიანები“ (სამტრედია, ფოკუს-ჯგუფი).

„ახალგაზრდული პროგრამები გვაქვს და ამ პროგრამებში ჩართული არიან ახალგაზრდები კრიზისული ოჯახიდან. ეს ინფორმაციები სკოლის დირექტორებისგან მივიღეთ, მათთან ძალიან კარგად ვთანამშრომლობთ“ (თერჯოლა, ფოკუს-ჯგუფი).

რეფერირების სუბიექტებს შორის ურთიერთობაში მთავარი პრობლემა **კოორდინაციის მექანიზმის არარსებობაა,** რაც საშუალებას მისცემდათ, პერიოდულად, დადგენილი სიხშირით შეხვედროდნენ ერთმანეთს და გაეცვალათ უახლესი მონაცემები, მიეღოთ ინფორმაცია ერთმანეთის საქმიანობის, დაბრკოლებების და წინსვლის შესახებ. მაგალითად, მუნიციპალიტეტს აქვს მსხვერპლის დახმარების პროგრამა, მაგრამ ეს ინფორმაცია ადრესატამდე ვერ მიდის. თუ რეფერირების სუბიექტებს ამის შესახებ ეცოდინებათ, ისინიც ჩაერთვებიან ინფორმაციის გავრცელებაში და მათთან დაკავშირებულ მსხვერპლს სწორ მიმართულებას მისცემენ და ასე დაეხმარებიან თვითმმართველობისგან სერვისის მიღებაში. მსგავსი ფორმატის ფარგლებში თანამშრომლობის გამოცდილება მუნიციპალიტეტებს უკვე აქვთ ფონდი „სოხუმის“ ხელშეწყობით, რომელიც ცდილობს რეფერალურ სუბიექტებს შორის თანამშრომლობის და ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებას სამიზნე მუნიციპალიტეტებში -

„რამდენჯერმე გვქონდა ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერით რეფერირების სუბიექტებთან შეხვედრა - მრგვალი მაგიდა, სადაც საუბარი შეეხო პრობლემებს, რომელთაც თითოეული სუბიექტი აწყდება და როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს კომუნიკაცია“ (წყალტუბო, ჩაღრმავებული ინტერვიუ).

კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამ კარგი პრაქტიკის ფართოდ გავრცელებას კვალიფიკაციისა და რესურსების ნაკლებობა უშლის ხელს. ასევე ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არსებობს სიახლეების შიში.

რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, ასეთი მექანიზმი გენდერული თანასწორობის საბჭოს ეგიდით უნდა დაინერგოს -

„ეს ფუნქცია, ვფიქრობ, უნდა აიღოს გენდერულმა საბჭომ. საბჭოს სხდომაზე შეიძლება ეს სუბიექტები მოვიწვიოთ, სულ არ არის დიდი პრობლემა, ყველა სიამოვნებით მოვა“ (ხონი, ფოკუს-ჯგუფი).

ამისათვის აუცილებლად მიაჩნიათ **საბჭოს ავტორიტეტის გაზრდა**. ხონსა და ქუთაისში ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა თქვეს, რომ კარგი იქნებოდა **კოორდინაციის მექანიზმის კანონით დადგენა,** ასევე საბჭოს შემადგენელობაში რეფერირების სუბიექტების კომპეტენტურ წარმომადგენელთა შესვლა. ალტერნატიულ ვარიანტად რესპონდენტებს წარმოუდგენიათ ფართო შემადგენლობის **საზოგადოებრივი საბჭოს (მეგობართა საბჭოს)** ფორმირება, რომელიც სამ თვეში ერთხელ მაინც შეიკრიბება და არსებულ პრობლემებსა და გამოსავალზე იმსჯელებს. საგულისხმოა, რომ ფონდი „სოხუმის“ აქტიური მუშაობის შედეგად, სენაკის მუნიციპალიტეტი მზადაა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემაზე უფრო ეფექტიანი რეაგირებისთვის, „მუნიციპალიტეტსა და რეფერალურ სუბიექტებს შორის თანამშრომლობის და უკეთესი კოორდინაციისთვის სტრატეგიის“ შესამუშავებლად, რაც 2020 წლისთვის, სავარაუდოდ უნდა იყოს დასრულებული და მიღებული.

Brot

Brot

თავი VII.

დასკვნა

კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ მუნიციპალური ორგანოები მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან, პროგრესის ტემპი კი არც ისე სწრაფია. რესპონდენტთა უმრავლესობა ამის მიზეზად, უპირველეს ყოვლისა, მწირ ფინანსურ რესურსებს ასახელებს. ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა ეკონომიკურად სუსტი ქვეყნის კიდევ უფრო სუსტი პერიფერიული მუნიციპალიტეტებისთვის. თუმცა გამოჩნდა ისიც, რომ პრიორიტეტების უკეთ დალაგების, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარი როლის კარგად გაცნობიერების შემთხვევაში, მეტის გაკეთებაა შესაძლებელი. მუნიციპალიტეტები უფრო აქტიურად, მტკიცედ უნდა მუშაობდნენ და იბრძოდნენ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბევრ თვითმმართველ ერთეულში, სამიზნე მოსახლეობასთან აქტიური მუშაობის, მისი პრიორიტეტების და საჭიროებების გათვალისწინების და აუცილებელი ცვლილებების დანერგვის ნაცვლად, უფრო დაფინანსების არქონის მომიზეზებას, პასუხისმგებლობის ცენტრალურ ხელისუფლებაზე გადაბარებას ახდენენ და მათგან გარკვეული ინსტრუქციების მიღების ლოდინის რეჟიმში არიან.

თუმცა მონიტორინგმა და ფონდი „სოხუმის“ მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლის დახმარებისთვის გათვალისწინებული ფინანსური სახსრების სიმწირე ხშირად გამოწვეულია არა მხოლოდ, ზოგადად შეზღუდული რესურსებით, არამედ ამ პრობლემის მნიშვნელობის უგულებელყოფით, გულგრილობით, გენდერული სენსიტიურობის ნაკლებობით.

თუმცა ასევე ნათლად გამოჩნდა ისიც, რომ ზოგჯერ ცენტრალური ხელისუფლება რეკომენდაციების გაცემისას ნაკლებად ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობებს და ისეთ მოთხოვნებს უყენებს, რომელთა შესრულება მათ ძალებს აღემატება.

ფაქტობრივად არ მუშაობს ადგილობრივ მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ეს პასუხისმგებლობა თავის თავზე პრაქტიკულად მხოლოდ არასამთავრობო სექტორს აქვს აღებული. ამასთან, თანამშრომლობა, ინფორმაციის გაცვლა ცენტრსა და რეგიონს შორის ძალზე სუსტია და ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს.

რესპონდენტების საერთო აზრით, საჭიროა გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერება, მისი ავტორიტეტის და ნდობის გაზრდა ადგილობრივ მოსახლეობაში, რათა იმ ადამიანებს, რომელთაც პოლიციასთან ურთიერთობის სურვილი არ აქვს, ან შიში აბრკოლებს, საბჭო ესახებოდეს დამხმარედ. საბჭო უნდა იქცეს მაკოორდინირებელ ორგანოდ რეფერირების სუბიექტებს შორის მუნიციპალურ დონეზე.

ასევე კვლევის მონაწილეები ეთანხმებოდნენ მოსაზრებას, რომ საჭიროა ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის მეტი მუშაობა, ინფორმაციის უკეთ გავრცელება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, სოფლებში, კონფლიქტურ ოჯახებთან. უნდა აღმოიფხვრას ის მახინჯი პრაქტიკა, როცა სოფლის ხელმძღვანელმა, მთელმა სოფელმა იცის, რომ ძალადობაა ოჯახში, მაგრამ არ ერევა, ვიდრე სიტუაცია უკიდურესად არ გამწვავდება.

გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში ტერიტორიის სრულად დაფარ-

ვა, განსაკუთრებით ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებული სოფლების, მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობისთვის ხმის მიწვდენა. ეს პირდაპირ კავშირშია მერის წარმომადგენელთა მუშაობის ნაკლებეფექტიანობასთან. პრობლემაა სოფლად მცხოვრები ქალების, არასრულწლოვანი გოგონების საჭიროებების გაუთვალისწინებლობაც. მუნიციპალიტეტში არსებული პროექტებისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაცია უმეტესად ხელმიუწვდომელია ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის, ინტერნეტის არქონის გამო. თვითმმართველობის ორგანოები, მცირე გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად არ თანამშრომლობენ რეფერირების სუბიექტებთან და ვერ ავრცელებენ ინფორმაციას მუნიციპალურ პროგრამებში არსებული მსხვერპლის დახმარების სერვისების შესახებ.

რესპონდენტები გულწრფელად აღიარებდნენ, რომ მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა კვალიფიკაცია უნდა გაუმჯობესდეს. გამოწვევას წარმოადგენს გენდერული ცნობიერების ნაკლებობა, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითმმართველობის როლისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის არქონა ან სიმწირე. ასევე - ადგილობრივი მცხოვრებლებთან უშუალო კავშირის ნაკლებობა, მათი საჭიროებების არცოდნა, მაშინ როცა თვითმმართველობის არსი სწორედ მოსახლეობასთან ახლოს მყოფი მმართველის არსებობაა.

ცენტრალური ხელისუფლებისგან მითითების მოლოდინი, ნაკლები ინიციატივა და ასერტიულობა, შეუძლებელს ხდის იმ პრობლემათა გადაწყვეტასაც კი, რაც მუნიციპალიტეტს დამოუკიდებლად ხელეწიფება.

მუნიციპალიტეტები არ აერთიანებენ შესაძლებლობებს საერთო პრობლემის წინააღმდეგ, ვერ იყენებენ ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის რესურსს, თუმცა, მისასალმებელია, რომ ასეთი ინიციატივა ოზურგეთში განიხილება.

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

კვლევაზე მუშაობდნენ

ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის ოფისის
წარმომადგენლები:
ეკატერინე გამახარია, ლელა ხათრიძე

ქუთაისის სათაო ოფისის
მონიტორინგის ჯგუფის წევრები:
ემა კამკია, ხათუნა გოგუა, თეა გოლეთიანი

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

რედაქტორი - ლალი შენგელია

დაკაბადონება - ლია კოსტავა

მისამართი:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6
ტელ: (431) 27 13 68
597 40 51 46
ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge
ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/fsokhumi/